პროლეტარიელებო-ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO KOMITETA KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYASHCHIKHSYA GRUZINSKOY SSR

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 31 მაისი, 1952 წ. № 128 (9288). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ზუსტად დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური კანონი — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1952 წლის 26 მაისს (1-ლი, მე-2 და მე-3 გვერდი).

მრისხანე პროტესტი კორეაში ამერიკელ აგრესორთა სისხლიანი გოროტმოქმედების წინააღმდეგ — მეცხრე კოველ მშრომელთა საერთაშორისო კომიტეტი ... ბრძოლაში — 4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი საქართველოს კომპარტიაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებას, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების, ნაკლოვანებებისა და პოლიტიკური ჩავარდნების გამოსწორებას.

26 მაისს შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი დოვლათის დატაცებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. ცხოვრებაშვილის მოხსენება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში გაბატონებულმა უდარდელობისა და პარადული კეთილდღეობის განწყობილებამ, სამეურნეო წარმატებებით გატაცებამ, მუშაობის ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკულმა დამოკიდებულებამ, ობივატელურმა გულდამშვიდებამ სერიოზული ზიანი მიაყენეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას, მის სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მისი ყოფილი პირველი მდივანი ამხ. ჩარკვიანი მიდრეკილებას არ იჩენდნენ მუშაობის ნაკლოვანებათა გამომძღავნებისადმი, რამაც ისინი სიფიზლის მოდუნებასა და პოლიტიკურ სიბეცემდე მიიყვანა.

პლენუმზე გამოაშკარავდა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების უხეში დარღვევები, საკოლმეურნეო ქონების დატაცების, მითვისების ფაქტები. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა გადამჭრელ ბრძოლას არ ეწეოდა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა, გამნიავებელთა წინააღმდეგ. მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელი მუშაკების დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად პრაქტიკაში გავრცელდა ანტისახელმწიფოებრივი, ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკა კოლმეურნეობათაგან გამომძალველობის, საზოგადოებრივი მიწების, პირუტყვის განიავების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ფულადი სახსრების დატაცების, მითვისების, პროდუქტების დაბალ ფასებში ან მუქთად წაღების მავნე პრაქტიკა. ასეთი უხეში დარღვევები გამოვლინებულია მაიაკოვსკის, ქობულეთის, ხულოს, მახარაძის, სამტრედიის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ხობის, ახალქალაქის, დმანისის, სიღნაღის, ყვარლის, კასპის, მარნეულის, თიანეთის, კაჩრეთის, ჯავისა და სხვა რაიონებში.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უაღრესად უხეში დარღვევები ფართოდ გავრცელდა იმიტომ, რომ მთელი რიგი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკები იმის ნაცვლად, რომ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის სადარაჯოზე იდგნენ, თვითონ ხშირად არღვევენ წესდებას და მონაწილეობენ საკოლმეურნეო დოვლათის დატაცებაში. შემარიგებლად, დანაშაულებრივი შეშფოთებულობით ეკიდებიან საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებლებს და მათ დამცველებს და ბოროტმოქმედთა მფარველადაც გამოდიან. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ სამუშაოდან მოხსნა, პარტიის რიგებიდან გარიცხა და სამართალში მისცა ლენინგორის რაიკომის მეორე მდივანი მარგიევი, რომელიც გამომძალველობასა და სხვა დანაშაულს სჩადიოდა. ანალოგიური დანაშაულისათვის ასეთივე მკაცრი სასჯელი დაედო მთელ რიგ სხვა მუშაკებს. ეს სერიოზული გაფრთხილებაა ყველა იმათთვის, რომლებიც ლმობიერებას იჩენენ საზოგადოებრივი სიმდიდრის გამნიავებელთა მიმართ, სათანადოდ არ სჯიან ან ხელს უწყობენ და მფარველობენ საკოლმეურნეო წყობილების ძირის გამომთხრელებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობათა შრომითი რესურსების მთლიანად გამოყენების საკითხს. კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობა პატიოსნად მუშაობს კოლმეურნეობებში. მაგრამ კოლმეურნეთა ერთი ნაწილი, რომელიც პატიოსანი და კეთილსინდისიერი კოლმეურნეების თანაბრად სარგებლობს ყველა უფლებით, თავს არიდებს კოლმეურნეობებში მუშაობას, არ იმუშავებს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს, უგულებელყოფს საზოგადოებრივ შრომას და ზედმეტ ტვირთად აწვება კოლმეურნეობას. ამ მხრივ მთელი რიგი ნაკლოვანებებია თბილისის გარეუბნის, გურჯაანის, კასპის, საგარეჯოს, ყვარლის, კაჩრეთის, თელავის, ქუთაისის, თერჯოლისა და სხვა რაიონებში. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ზარმაცთა და მუქთახორათა წინააღმდეგ მიიღონ წესდებით გათვალისწინებული ალმზრდელობითი და ორგანიზაციული ზომები და **მიაღწიონ იმას, რომ არა მარტო უმრავლესობა, არამედ ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე აქტიურ მონაწილეობას იღებდეს საკოლმეურნეო შრომაში.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს დაავალა მთლიანად აღმოფხვრან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯებანი, მტკიცედ დაიცვნენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე, განუხრელად განახორციელონ ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოთხოვნა და უსასტიკესად დასაჯონ საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებლები და მათი მფარველები.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონია და მისი განუხრელად განხორციელება სოფლის ყველა მუშაკის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. საკოლმეურნეო წესდებას საფუძვლად უდევს ბრძნული სტალინური პრინციპი კოლმეურნეთა პირადი ინტერესების სწორად შეთავსებისა მათს საზოგადოებრივ ინტერესებთან. კოლმეურნეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორად შეთავსება უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ყოველნაირად განვავითაროთ და განვამტკიცოთ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა. **საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეობის ძლიერებისა და სიმტკიცის და კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის საფუძველია.**

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მთელი სერიოზულობით იბრძოლონ იმისათვის, რომ განუხრელად სრულდებოდეს წესდების მოთხოვნანი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, კოლმეურნეობათა შრომითი რესურსების მთლიანად გამოყენების, აგროწესების მტკიცედ დაცვის შესახებ. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უზრუნველყონ მინდვრად შრომის სწორად მოწყობა, სერიოზული ყურადღება მიაქციონ საწარმოო ბრიგადის, როგორც შრომის ორგანიზაციის ძირითადი და მთავარი ფორმის — ყოველმხრივ განმტკიცებას. პლენუმმა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანად დასახა მოსავლისა და პურის დამზადებისათვის საუკეთესოდ მომზადება, პურეულის უდანაკარგოდ აღება, პურის დამზადების წლიური გეგმის ვადამდე შესრულება, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ორგანიზებულად მოწყობა.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ამხ. ა. მგელაძემ კონკრეტული ამოცანები დაუსახა საკოლმეურნეო საკუთრების დატაცების წინააღმდეგ, კოლმეურნეობათაგან გამომძალველობისა და საკოლმეურნეო ქონების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დარგში.

საქართველოს ბოლშევიკთა პირველი რიგის ამოცანაა სწრაფად გამოვასწოროთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა მიერ დაშვებული შეცდომები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, დავეუფლოთ ხელმძღვანელობის სტალინურ სტილს. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მასებში პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა და ამის საფუძველზე მიაღწიონ ახალ წარმატებებს საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ამხანაგმა ლ. ბერიამ აღზარდა დიად სტალინურ ტრადიციებზე, განუხრელად განახორციელებენ ამხანაგ სტალინის მითითებებს, თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან საკოლმეურნეო საკუთრებას, ბოლშევიკურ წესრიგს დაამყარებენ საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის დარგში, განავითარებენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობას, უფრო განამტკიცებენ კოლმეურნეობებს ორგანიზაციულ-მეურნეობრივად და ჩვენს ქვეყანას მისცემენ მეტ სასოფლო-სამეურნეო **პროდუქტებს, ვიდრე გასულ წელს.**

ეს იქნება საუკეთესო პასუხი ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის დაუღალავ მზრუნველობაზე, რასაც ისინი იჩენენ საბჭოთა საქართველოსათვის.

ზუსტად დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური კანონი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1952 წლის 26 მაისს

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი დოვლათის სადარაჯოზე

ამხანაგებო! საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც შეიარაღებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით და განუხრელად ხელმძღვანელობს დიდი სტალინის მითითებებით, ასწორებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებს, გადაჭრით ახორციელებს თავისი მუშაობის გარდაქმნას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ, როგორც ცნობილია, მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი და უხეში შეცდომები დაუშვა, რამაც გამოიწვია პოლიტიკური ჩავარდნა.

ამ ჩავარდნის პირდაპირი შედეგია დიდი ნაკლოვანებანი ჩვენს სოფლის მეურნეობაში. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ დაივიწყა პარტიისა და მთავრობის არაერთი მითითება საკოლმეურნეო საკუთრების ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცვის შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით არ ებრძოდა მთელი რიგი რაიონული ხელმძღვანელების არასწორ, დანაშაულებრივ დამოკიდებულებას საკოლმეურნეო საკუთრებისადმი, გამომძალველობას კოლმეურნეობებისაგან, საკოლმეურნეო ქონების ხელყოფას, არ ესმოდა, რომ ყოველივე ეს ზიანს აყენებს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს, ძირს უთხრის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტს.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ასრულებს პარტიის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ სტალინის მითითებებს, უახლოეს ხანში გადაჭრით და საბოლოოდ უნდა აღმოფხვრას საკოლმეურნეო საკუთრებისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულება, საკოლმეურნეო მიწების, ქონებისა და პირუტყვის დატაცება და განიავება. ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ დანაშაულობაში, აუცილებლად უნდა მოიხსნან სამუშაოდან, გაირიცხონ პარტიიდან და მიცემულ იქნან სამართალში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ჩვენ შევქმენით სპეციალური კომისიები ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრების თავმჯდომარეობით. ამ კომისიებმა ყველა რაიონში შეამოწმეს, რა მდგომარეობაშია საკოლმეურნეო საკუთრება, როგორ არის დაყენებული მისი დაცვა.

ამ შემოწმების მასალები მოწმობენ, რომ კოლმეურნეობათა მნიშვნელოვან ნაწილში უხეშად არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, რომ ფართოდ გავრცელებულია გამომძალველობა კოლმეურნეობებისაგან. ეს ანტისაკოლმეურნეო, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება მთელ რიგ რაიონებში პირდაპირ სისტემად იქცა და საქართველოში საკოლმეურნეო წყობილების ეკონომიური საფუძვლის შერყევას გვიქადის.

პარტია და მთავრობა ჩვენგან მოითხოვენ ზუსტად ვიცავდეთ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, ვიდგეთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესთა სადარაჯოზე, სასტიკად ვსჯიდეთ იმ პირებს, ვისაც ბრალი მიუძღვის წესდების დარღვევაში, საკოლმეურნეო დოვლათის დატაცებაში, განიავებასა და მითვისებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 1946 წლის 19 სექტემბერს მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“. ეს დადგენილება თავისი მახვილით მიმართულია ყოველგვარ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, რომელნიც უდიდეს ზიანს აყენებენ კოლმეურნეობებს და კომუნისტური მშენებლობის მთელ საქმეს.

„დაწესდეს, — ნათქვამია ამ ისტორიულ დადგენილებაში, — რომ საბჭოთა, პარტიული და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით საკოლმეურნეო ქონების, საზოგადოებრივი მიწის, ფულადი სახსრების დატაცებასა და უკანონოდ გამგებლობაში, მოიხსნებიან პოსტებიდან და მიცემულ იქნებიან სამართალში, როგორც კანონის დარღვევენი და საკოლმეურნეო წყობილების მტრები“.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო არ ასრულებდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო მთავრობის ამ მითითებას. რესპუბლიკის მეტ წილ კოლმეურნეობებში დანაშაულებრივად არღვევდნენ მიწათსარგებლობის წესს, ითვისებდნენ საკოლმეურნეო ქონებას, პროდუქტებსა და ფულად სახსრებს.

არ არის არც ერთი ფაქტი, რომელიც მოწმობდეს, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სჯიდა, როგორც საკოლმეურნეო წყობილების მტრებს, იმ პირებს, რომლებიც არღვევდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, იტაცებდნენ საზოგადოებრივ მიწებს, ითვისებდნენ კოლმეურნეობათა ქონებას.

შემოწმებით გამორკვეულია, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დატაცებულია ათასობით ჰექტარი საზოგადოებრივი, საკოლმეურნეო მიწები მრავალწლიანი ნარგავებით, რომ მიწის ფონდის დატაცებაში მონაწილეობენ არა მარტო ცალკეული კოლმეურნეები, არამედ რაიონების ხელმძღვანელი მუშაკებიც.

ჯავის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. თედეევმა, რომელიც საკოლმეურნეო საკუთრებას ისე განაგებდა, როგორც თავის საკუთრებას, 1948 წელს კოლმეურნე ა. სანაკოევის საკარმიდამო ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლი აიშენა და 0,15 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა მითვისა.

მის მაგალითს მიბაძეს იმავე აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ ს. მაგკოევმა, აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ კ. კულუხოვმა, პარტიის ჯავის რაიკომის მეორე მდივანმა და მთელმა რიგმა სხვა ხელმძღვანელმა მუშაკებმა, რომლებმაც აგრეთვე აიშენეს სახლები საკოლმეურნეო მიწაზე.

საზოგადოებრივი მიწების დატაცებას ფართოდ მიმართავდნენ ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში. აქ მარტო რვა არტელში 39 ჰექტარამდე მიწა დაიტაცეს.

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში და სოფელ როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გამორკვეულია საზოგადოებრივი მიწების ყიდვა-გაყიდვის ფაქტები.

საქმე მარტო იმით როდი განისაზღვრება, რომ საკოლმეურნეო მიწას იტაცებდნენ, ითვისებდნენ ან „ყიდულობდნენ“. სიღნაღის რაიონის თვრამეტი კოლმეურნეობიდან ცხრაში მითვისებული, განიავებული და დატაცებულია 223.894 მანეთი, 21.473 კილოგრამი მარცვლეული, 2.081 კილოგრამი ფქვილი, 2.600 კილოგრამი მზესუმზირას თესლი, 600 ლიტრი ღვინო, 7 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 842 ცხვარი, ოთხი ცხენი და 1.545 ფრთა ფრინველი. გარდა ამისა, სხვადასხვა პირებზე უკანონოდ გაცემული და დახარჯულია 454.257 მანეთი. მუშახელის დაქირავებაზე დახარჯულია 421.924 მანეთი და 38.143 კილოგრამი სხვადასხვა პროდუქტები დაკლებულ ფასებში.

იმავე რაიონის დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ბეგიაშვილმა მის მიერ წარდგენილი აშკარად საეჭვო დოკუმენტებით 22.600 მანეთი მიიღო თითქოს ავტომანქანის საბურავებისა და ნაწილების შესაძენად.

პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივნის ამხ. ე. ტაკიძისა და რაიონული საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის ამხ. ა. სტამბოლიშვილის განკარგულებით რაიონულ ცენტრში ადმინისტრაციული სახლისა და სატრანსფორმატორო კიოსკების მშენებლობისათვის 1951 წელს სოფელ ლეღვას მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობას, სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას და სოფელ აჭყვის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერს“ გამოართვეს 275.640 მანეთის ღირებულების 2.297 კუბმეტრი ტუფი. რაიონულმა ხელმძღვანელებმა კოლმეურნეობებს ჩამოართვეს საკოლმეურნეო მშენებლობისათვის შეძენილი საშენი მასალა და არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს. კოლმეურნეობებს ფული დაუბრუნეს მხოლოდ 1952 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც ეს უკანონო მოქმედება რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა შეიტყეს.

წესდების დარღვევა ქობულეთის რაიონში ამით როდი განისაზღვრება. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ფართოდ არის გავრცელებული კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენების გადახდა საზოგადოებრივი საშუალებებიდან. მაგალითად, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ ასეთი დავალიანების „დასაფარავად“ 795.200 მანეთი დახარჯა. მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ დაფარა კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენები — 146.047 მანეთი, გადაიხადა სამმხმარებლო კოოპერაციის საპაიო შესატანები — 38.000 მანეთი. აქ კოლმეურნეების მიერ ნებაყოფლობითს საზოგადოებებში შესატან საწევრო ანარიცხებსაც კი საზოგადოებრივი საშუალებებიდან იხდიდნენ.

ასეთი პრაქტიკა არ შეიძლება სხვა რამედ მივიჩნიოთ, თუ არა ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკად, თუ არა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ძირითადი პრინციპების დარღვევად.

თვითეულმა კოლმეურნემ ხელზე უნდა მიიღოს ის, რაც მას ერგება, შემდეგ კი თავისი სახსრებიდან შეიტანოს გადასახადები, საპაიო შესატანები, იყიდოს ყოველივე ის, რაც სჭირდება. **(შეძახილები: „სწორია!“).**

კოლმეურნეობებისაგან გამომძალველობას ეწეოდნენ არა მარტო რაიონული ხელმძღვანელები, არამედ რესპუბლიკური ორგანოების ზოგიერთი მუშაკიც. მაგალითად, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმომწყობმა ამხ. ვ. გოგებაშვილმა სოფელ ლაილაშის კოლმეურნეობას 434 მანეთის პროდუქტები გამოართვა. როცა მოაგონეს, რომ წაღებულის ღირებულება უნდა გადაიხადა, მან არტელის გამგეობას მუქარის წერილი მისწერა, როგორ გამიბედეთ, პროდუქტების ღირებულება რომ მომთხოვეთო!

იმავე სამინისტროს მეორე მიწათმომწყობმა ამხ. ა. მიქელაძემ მივლინებაში ყოფნისას სოფელ ცაგერის კოლმეურნეობა „პრაგრესს“ 48 კილოგრამი სიმინდი, 11 კილოგრამი ლობიო, 3 კილოგრამი ყველი და 20 ლიტრი ღვინო წაგლეჯა. **(მოძრაობა დარბაზში).**

მე, ამხანაგებო, მხოლოდ ორი ფაქტი მოვიყვანე. მაგრამ ასეთი ფაქტები, უეჭველია, გაცილებით მეტია.

ალბათ, ამით აიხსნება, რომ უწყებებისა და რესპუბლიკური ორგანოების ზოგიერთი მუშაკი, კოლმეურნეობებში საქმის ვითარების შესამოწმებლად რომ მიდის, იქიდან მეტად სანუგეშო ცნობებით ბრუნდება. მათი „ოპტიმიზმი“ გასაგებია: ამ წარგზავნილებს იქ იმადლიერებენ, სადილებსა და ვახშმებს უმართავენ, სანადირო ფრეზვენ ან საჩუქრებს მიართმევენ ხოლმე. ზოგი კი პირდაპირ იღებს პროდუქტებს კოლმეურნეობებში და ფულს არ იხდის.

მოვიყვან კიდევ ერთ ფაქტს, რომელიც მოწმობს, თუ რა უბოდიშოდ ეპყრობიან კოლმეურნეობათა ფულად სახსრებს.

პარტიის წყალტუბოს რაიკომის მდივანი ამხ. ნ. იმნაიშვილი იქამდე მივიდა, რომ 10 კოლმეურნეობაში 2.100 მანეთი შეაგროვა, რათა წესრიგზე მოეყვანა... რაიკომის არქივი. ეს ფული მისცეს ვიღაც მკინძავს, უპარტიო ივანოვს, რომელსაც პარტიული არქივის საქმეები ანდეს.

ამხ. იმნაიშვილმა ერთბაშად ორი უხეში შეცდომა დაუშვა. ჯერ-ერთი, კოლმეურნეობებს გამოართვა ფული იმისათვის, რომ პარტიული არქივი მოეწესრიგებინა, მეორე, ეს სამუშაო ანდო უპარტიო, თანაც მეტად საეჭვო რეპუტაციის კაცს. **(მოძრაობა დარბაზში).**

ყველა ამ უმსგავსობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მკაცრად სჯის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის დამრღვევთ. ამას წინათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ ლენინგორის რაიკომის მეორე მდივნის პოსტიდან მოხსნა ვ. მარგიევი, გარიცხა იგი პარტიიდან და მისი საქმე გადასცა პროკურატურას. მარგიევს თორმეტი წლის განმავლობაში ჰყავდა 60 სული ცხვარი. ამ „ფარას“, რა თქმა უნდა, კოლმეურნეობა, კოლმეურნეები უვლიდნენ, შემოსავალს კი „პატრონი“ იღებდა. **(მოძრაობა დარბაზში. შეძახილები: „უმსგავსობაა!“).** გარდა ამისა, მარგიევმა 1951 წლის სექტემბერში კოლმეურნეები ორ კვირას ამუშავა თავისი სახლის მშენებლობაზე და შრომაში არც ერთი კაპიკი არ გადაუხადა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ბოროტმოქმედებანი აღმოაჩინა აგრეთვე დმანისის რაიონში. აქ სისტემატურად არღვევდნენ წესდებას, შემოღებული იყო გამოძალვა კოლმეურნეობებისაგან, ხოლო რაიონული ხელმძღვანელები ყურადღებას არ აქცევდნენ სიგნალებს უმსგავსოებათა შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ სამუშაოდან მოხსნა და პარტიიდან გარიცხა საქართველოს კ. პ. (ბ) დმანისის რაიკომის მდივანი ა. მარსაგიშვილი და მთელი რიგი სხვა მუშაკები, საქმე გადასცა საგამომძიებლო ორგანოებს ბრალდებულთა სამართალში მისაცემად.

სასტიკი პარტიული სასჯელი დაედო პარტიის დმანისის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. გ. კირვალიძეს და რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ა. აგაევს, რომლებმაც ზომები არ მიიღეს საკოლმეურნეო საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ, სიგნალებს წესდების დარღვევათა შესახებ, მშრომელთა წერილებსა და საჩივრებს, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტი რაიკომში გზავნიდა, ეკიდებოდნენ უდარდელად, უპასუხისმგებლოდ, არა ისე, როგორც პარტიის წევრს შეჰფერის.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ქმედითს ღონისძიებებს არ იღებდნენ, რომ კოლმეურნეობებისათვის დაებრუნებინათ დატაცებული, განიავებული, მითვისებული პროდუქტები, პირუტყვი და ფული.

უახლოეს ორ თვეში ამ საქმეში სრული წესრიგი უნდა დამყარდეს. ყველაფერი, რაც კოლმეურნეობებისათვის დასაბრუნებელია — მიწა, პროდუქტები, პირუტყვი, ფული, — დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს მათ, ხოლო საზოგადოებრივი დოვლათის დატაცებაში კონკრეტული დამნაშავეები დასჯილ უნდა იქნან როგორც საკოლმეურნეო წყობილების მტრები.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების პირდაპირ, აშკარა დარღვევასთან ერთად ხდება დარღვევა შენიღბული ფორმითაც: საკოლმეურნეო მიწას სხვადასხვა სამსახურისათვის აძლევენ ორგანიზაციებსა და ცალკე პირებს, კოლმეურნეობათა პროდუქციას ჰყიდიან ჩალის ფასად, პირუტყვს, რომელიც იმყოფება კოლმეურნეებისა და ისეთ პირთა სარგებლობაში, რომლებსაც კოლმეურნეობებთან საერთო არა აქვთ რა, სცვლიან კოლმეურნეობების მაღალპროდუქტიულ პირუტყვზე, თანამდებობის პირები უკანონო პრემიებს იღებენ და კოლმეურნეობის სახსრებს ხარჯავენ კოლმეურნეთა პირადი დავალიანების ასანაზღაურებლად, კოლმეურნეობების ზარალში წერენ ცალკე პირთა მიზეზით დატაცებულ და გაფუჭებულ ქონებას.

საოლქო და რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ჯერ-ოვნი წესრიგი არ დაუმყარებიათ კოლმეურნეობებთან ანგარიშსწორებაში.

შემოსავლის განაწილება ჯერ კიდევ ყველგან როდი ხდება გამომუშავებული შრომადღეების გათვალისწინებით. ეს იმას იწვევს, რომ კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნეთა შრომის ნაყოფით ხშირად სარგებლობენ ზარმაცები, მუქთახორები, რომლებიც სხვადასხვა საბაბით თავს არიდებენ კოლმეურნეობაში შრომას.

პარტიის ბევრი საოლქო და რაიონული კომიტეტი, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არ უზრუნველყოფს საკოლმეურნეო დემოკრატიის დაცვას. კოლმეურნეობებში იშვიათად ეწყობა საერთო კრებები. საკოლმეურნეო ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც საერთო კრებაზე უნდა იქნას განხილული, წყვეტენ გამგეობები, ხოლო ზოგჯერ ერთპიროვნულად წყვეტენ თავმჯდომარეები.

საკითხავია, რატომ ირღვევა ასე უხეშად ჩვენში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება? ასე ფართოდ რატომ არის გავრცელებული გამომძალველობა კოლმეურნეობებისაგან? რა არის ყოველივე ამის მიზეზი?

მიზეზი ის არის, რომ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესთა სადარაჯოზე იდგნენ, ხშირად თვითონ არღვევენ წესდებას, იტაცებენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ საკუთრებას, თავიანთი სამსახურებრივი

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ზუსტად დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური კანონი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. პ. ი. მგელაძის სიტყვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1952 წლის 26 მაისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

მდგომარეობის გამოყენებით აიძულებენ კოლმეურნეობებს უკანონოდ გასცენ მიწა, უფასოდ ან ჩალის ფასად გასცენ პროდუქტები, პირუტყვი და სხვა საკოლმეურნეო დოვლათი.

პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ კოლმეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისათვის, ყველა პირობას ქმნიან მათი საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის, ყველა ხელმძღვანელისაგან, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისაგან მოითხოვენ მზრუნველობით ეკიდებოდნენ საზოგადოებრივ საკუთრებას, იცავდნენ კოლმეურნეობების ინტერესებს.

საზოგადოებრივი მეურნეობა საკოლმეურნეო წყობილების საფუძველია, კოლმეურნეობების შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საფუძველია.

კოლმეურნეობების განუხრელი განვითარების ურღვევი საფუძველია სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, რომელსაც ამხანაგმა სტალინმა სოფლად ახალი საზოგადოების აშენების უმაღლესი, ძირითადი კანონი უწოდა.

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონია. მასში განზოგადებულია კომუნისტური პარტიის პოლიტიკა და პრაქტიკა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების დარგში. წესდებაში აღნიშნულია არტელის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების გზები, მეურნეობისა, რომელიც უზრუნველყოფს კოლმეურნეთა შეძლებულ, კულტურულ ცხოვრებას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების წმიდად დაცვას. წესდების ზუსტად შესრულებისათვის შეუსუსტებელი კონტროლი კოლმეურნეობებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას საფუძვლად უდევს ბრძნული სტალინური პრინციპი კოლმეურნეთა პირადი ინტერესების სწორი შეხამებისა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ ინტერესებთან. რაც უფრო ძლიერია საზოგადოებრივი მეურნეობა, მით უფრო მაღალია კოლმეურნეთა საარსებო დონე. საზოგადოებრივ ინტერესებთან თავიანთი პირადი ინტერესების სწორად შეხამებით კოლმეურნეები უწინარეს ყოვლისა უნდა ამრავლებდნენ კოლმეურნეობების საზოგადოებრივ სიმდიდრეს.

პარტია და მთავრობა მოითხოვენ, რომ გადაჭრით მოეღოს ბოლო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების თუნდაც სულ მცირე დარღვევებს.

პარტიის რაიონულ კომიტეტებს და რაიონული საბჭოების აღმასკომებს პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე სრული პასუხისმგებლობა აკისრიათ იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეობაში და ყველა მუშაკის მიერ ზუსტად სრულდებოდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება.

ეს პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს ღრმად ჩასწვდნენ თვითეული კოლმეურნეობის საქმეებს, ეკონომიკას, უზრუნველყონ მისი საქმიანობის ქმედითი შემოწმება და ზუსტი კონტროლი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობების სარევიზიო კომისიებისა და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებათა ინსტრუქტორ-ბუხჰალტრების მუშაობას.

პარტიის რაიკომები და რაიონული საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ თვითეულ კოლმეურნეობაში ყოველ წელიწადს ეწყობოდეს რევიზია წესდებით გათვალისწინებული რაოდენობით, რომ სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა ინსტრუქტორ-ბუხჰალტრები დაწესებულ ვადებში ახდენდნენ დოკუმენტალურ რევიზიას თვითეულ კოლმეურნეობაში.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მინისტრი ამხ. ვ. მირიანაშვილი, რომელიც მოვალეა კოლმეურნეობებისადმი საორგანიზაციო-სამეურნეო ხელმძღვანელობის წესით ებრძოლოს წესდების ყოველგვარ დარღვევას, არ ახორციელებს მუდმივ კონტროლს მისი შესრულებისადმი. იგი საჭირო ზომებს არ იღებს აღრიცხვის, საანგარიშო და საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მოსაგვარებლად, ხშირად გვერდს უვლის კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ქონების, მიწებისა და ფულადი სახსრების დატაცების ფაქტებს. უფრო მეტიც, ამ სამინისტროს ზოგიერთი მუშაკი, როგორც უკვე ვთქვი, თვითონ მიმართავს კოლმეურნეობებისგან გამომძალველობას.

ამ სამინისტრომ დაუყოვნებლივ უნდა მოუღოს ბოლო ასეთ პრაქტიკას. სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. მირიანაშვილი მოვალეა ბოლშევიკურად გარდაქმნას თავისი სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობა, გადაჭრით გაუმჯობესოს კოლმეურნეობებისადმი საორგანიზაციო - სამეურნეო ხელმძღვანელობა, ფხიზლად იდგეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სადარაჯოზე.

ფაქტები იმასაც მოწმობენ, რომ პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები აჭიანურებენ წესდების დარღვევის საქმეთა განხილვას, სასტიკ პასუხისგებაში არ აძლევენ იმ პირებს, რომლებიც კოლმეურნეობებისაგან გამომძალველობას ეწევიან.

რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. მ. ლომიძემ, იუსტიციის მინისტრმა ამხ. ვ. მამალაძემ, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ბ. ფურცხვანიძემ მკვეთრ გარდატეხას უნდა მიაღწიონ თავიანთი მუშაობის ამ დარგში.

პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ქმედითი ზომები უნდა მიიღონ კოლმეურნეობებისადმი დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციისათვის, პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებიც აბრკოლებენ კოლმეურნეობებთან ანგარიშსწორებას, განიხილონ ყოველი შემთხვევა, როცა ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელები კოლმეურნეობათა მიმდინარე ანგარიშებს იყენებენ ფულადი სახსრების უკანონოდ მისაღებად თავიანთი საჭიროებისათვის, და სასტიკად დასაჯონ დამნაშავენი.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა განიხილონ ის საკითხი, თუ რა არის მიზეზი, რომ კოლმეურნეობებში შინასაკოლმეურნეო საჭიროებისათვის უზომოდ იხარჯება საზოგადოებრივი პროდუქტიული პირუტყვი, და მიიღონ ზომები მისი გაწიავების წინააღმდეგ, ბოლო მოუღონ საქმეების უთაურად წარმოებას კოლმეურნეობებში.

და, ბოლოს, უნდა აღმოვფხვრათ სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების დარღვევა, აღვადგინოთ წესდებით გათვალისწინებული წესი კოლმეურნეთა საერთო კრებების მოწვევისა საკოლმეურნეო ცხოვრების საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად.

საჭიროა რესპუბლიკის ყველა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკმა შეიგნოს, რომ წესდების დარღვევა სერიოზულ ზიანს აყენებს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობას. საკოლმეურნეო მიწების მითვისება და განიავება ანტისაკოლმეურნეო, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებაა. ლენინიზმისათვის ასეთ უცხო პრაქტიკას, პარტიის პოლიტიკის ასეთ მავნე დამახინჯებებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა განუწყვეტლივ აფართოებდნენ და განამტკიცებდნენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობას, ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზუსტად დაცვას, უზრუნველყონ საზოგადოებრივი საკუთრების — საკოლმეურნეო წყობილების საფუძვლის დაცვა, გაფართოება და განმტკიცება.

სრულიად შეუწყნარებელია შემარიგებელი დამოკიდებულება წესდების დამრღვევებისა და საკოლმეურნეო დოვლათის დამტაცებლებისადმი, მათი მფარველებისადმი. ვინც მათ შემარიგებლურად ეპყრობა, ის არსებითად საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მტრების საქმეს აკეთებს.

ზემოდან კონტროლი საკოლმეურნეო საკუთრების დაცვისადმი თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. საკოლმეურნეო საკუთრების დაცვის საქმე თავიანთ ხელში უნდა აიღონ თვით კოლმეურნეებმა, — მაშინ ერთი გრამი საკოლმეურნეო დოვლათიც აღარ დაიკარგება. **(მოძრაობა დარბაზში. მოწონების შეძახილები).**

ამას უნდა მივაღწიოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს.

დღეს აქ შემიძლია ვთქვა, რომ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ გამოყოფილმა კომისიებმა საოლქო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად დიდი მუშაობა გასწიეს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა გამოსავლინებლად, არამედ დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლადაც, დატაცებული საკუთრების კოლმეურნეობებისათვის დასაბრუნებლად. უკანასკნელ ხანს კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ 3.091,2 ჰექტარი დატაცებული მიწები, 14.730,4 ცენტნერი მარცვლეული, 41,2 მილიონი მანეთი 84,7 მილიონი მანეთი დებიტორული დავალიანებიდან, რაც სხვადასხვა პირებსა და ორგანიზაციებზე ირიცხებოდა 1952 წლის 1 იანვრისათვის, ჩამოწერილია უკანონოდ დარიცხული 31 ათასი შრომადღე.

ამ მიმართულებით გრძელდება გადამწყვეტი მუშაობა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა და კოლმეურნეობებისაგან გამოძალვის აღმოსაფხვრელად ჩვენს მიერ მიღებულ ზომებს კოლმეურნეები დიდი კმაყოფილებით ხვდებიან. თავიანთ გამოსვლებში ისინი მხურვალედ იწონებენ ამ გადაწყვეტილებებს, მადლობას უხდიან პარტიასა და საბჭოთა მთავრობას საკოლმეურნეო წყობილებასა და კოლმეურნეებზე ზრუნვისათვის.

კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხები

ამხანაგებო! კოლმეურნე გლეხობის, მექანიზატორებისა და სპეციალისტების თავდადებული შრომით ჩვენმა მრავალდარგიანმა სოფლის მეურნეობამ უმაგალითო აღმავლობასა და აყვავებას მიაღწია. წლითიწლობით იზრდება სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა რაიონების სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა კავშირისათვის. საქართველოს კოლმეურნეებს ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნისტურ მშენებლობაში.

მაგრამ ჩვენ შეგვეძლო გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მიგვეცა ჩვენი ქვეყნისათვის, ყველა კოლმეურნეობა და კოლმეურნე ისე რომ მუშაობდეს, როგორც ამას სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება მოითხოვს.

სამწუხაროდ, ყველანი და ყველგან როდი მუშაობენ ასე. ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრნი არიან ისეთი კოლმეურნენი, რომელნიც შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს არ ასრულებენ ან სულაც არ იღებენ მონაწილეობას საკოლმეურნეო შრომაში. საკმარისია ითქვას, რომ 1951 წელს კოლმეურნეთა 23,6 პროცენტს არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, ხოლო 4,1 პროცენტს — არც ერთი შრომადღე.

განსაკუთრებით ცუდად არის ამ მხრივ საქმე თბილისის ოლქის კოლმეურნეობებში, სადაც იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებსაც შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებიათ 27,5 პროცენტს შეადგენს, ხოლო იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებიც სრულებით არ მუშაობენ, — 5,6 პროცენტს. ცალკეულ რაიონებში ეს ციფრები კიდევ უფრო მაღალია, — მერყეობს შესაბამისად 40-დან 45 პროცენტამდე და 7-დან 19 პროცენტამდე.

ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია კოლმეურნეთა 22,3 პროცენტს, ხოლო 3,4 პროცენტი სრულებით არ მუშაობდა კოლმეურნეობებში.

აჭარის კოლმეურნეობებში იმ კოლმეურნეთა პროცენტი, რომლებსაც შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებიათ 24,6-ს შეადგენს, სამხრეთ ოსეთის ოლქის კოლმეურნეობებში — 18,7-ს. და მხოლოდ აფხაზეთის კოლმეურნეობებში იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებსაც შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებიათ, შედარებით მცირეა: სულ 7,7 პროცენტი. ამრიგად, ზოგიერთ ოლქში ბევრი კოლმეურნე შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს არ ასრულებს ან სულაც არ მონაწილეობს საკოლმეურნეო წარმოებაში, თუმცა კოლმეურნეობაში ირიცხება. და მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობებში ბევრია შრომისაგან „თავისუფალი“ კოლმეურნე, მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეობები ფართოდ მიმართავენ მუშა-ხელის დაქირავებას.

ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებისათვის.

საზოგადოებრივი მოვალეობისადმი ასეთი სამარცხვინო დამოკიდებულება შრომის ორგანიზაციის ცუდად დაყენების, კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტის შედეგია. მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს საკოლმეურნეო ცხოვრებაში. უნდა განვუმარტოთ თვითეულ კოლმეურნეს, რომ შრომადღეების დაწესებული სავალდებულო მინიმუმი სულაც არ არის დიდი. ყოველ შრომისუნარიან კოლმეურნეს ადვილად შეუძლია გამოიმუშაოს წელიწადში 120 შრომადღე.

იბადება კითხვა, როგორ მოვექცეთ იმ რაიონულ ხელმძღვანელებს, რომლებიც ასე უდარდელად, დაუდევრად, მე ვიტყოდი, დანაშაულებრივადაც კი, ეპყრობოდნენ, ხოლო ზოგიერთი ახლაც ეპყრობა, შრომის ორგანიზაციის საკითხებს? მათ სასტიკი პასუხისმგებლობა უნდა დავაკისროთ ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის. მაგალითისათვის დავასახელოთ პარტიის ქუთაისის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის სახელით პირობას აძლევს ამხანაგ სტალინს, რომ სწრაფად მოუღებს ბოლოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის ყველა დარღვევას, რომ ისინი, ვისაც კონკრეტულად მიუძღვის ბრალი კოლმეურნეობათა საწინააღმდეგო ამ ქმედობაში, სათანადო სასჯელს მიიღებენ საბჭოთა კანონების მთელი სისასტიკით, რათა კვლავ ვეღარავინ გაბედოს საკოლმეურნეო დოვლათის ხელყოფა.

სოფლის მეურნეობის ამ დარგში შრომის ორგანიზაციის რგოლური სისტემა ხელს უშლის ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა რთული მანქანების ნაყოფიერად გამოყენებას. მარცვლეულ კულტურათა ნათესის რგოლებისათვის მიჩენა არათუ დადებით შედეგს არ იძლევა, არამედ სერიოზულ ზიანსაც აყენებს საკოლმეურნეო წარმოებას. ცხადია, რომ მარცვლეულ კულტურებში საწარმოო ბრიგადის რგოლით შეცვლა ზღუდავს საკოლმეურნეო წარმოებაში მოწინავე ტექნიკის ნაყოფიერად გამოყენებას, რომელიც მიწის დიდ მასივებს მოითხოვს.

საწარმოო ბრიგადა, თუ იგი სწორად არის მოწყობილი, შესაძლებლობას იძლევა უფრო სრულად, უფრო ნაყოფიერად და ეფექტიანად გამოვიყენოთ კოლმეურნეობებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტექნიკა და არტელის საწარმოო საშუალებანი, მთლიანად გამოვიყენოთ შრომის კოლექტიური ფორმების ყველა უპირატესობა, რომლებიც მოწინავე სოციალისტურ მიწათმოქმედებას შეესაბამება.

ამ საფუძველზე პარტიამ და მთავრობამ კოლმეურნეობებს შრომის ორგანიზაციის ძირითად და მთავარ ფორმად ურჩიეს მუდმივი საწარმოო ბრიგადა.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ საწარმოო ბრიგადის განკერძოებული რგოლებით შეცვლის ცდა გადაჭრით დაგმო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. მაგრამ ამ მნიშვნელოვან საკითხში ამხ. ჩარკვიანის მცდარი მითითებანი დღემდე არ გაუკრიტიკებიათ, და მის ბროშურას კვლავ დეზორიენტაცია შეაქვს ჩვენს სასოფლო-სამეურნეო მუშაკებსა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებში. ეს იქიდან ჩანს, რომ საწარმოო ბრიგადებს ჩვენში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება, ხოლო ზოგ ადგილას შრომის ორგანიზაციის რგოლურ სისტემას უპირატესობაც კი ეძლევა!

აი რატომ ჩავთვალე საჭიროდ შევჩერებულიყავი დღეს ამ საკითხზე.

თავთავიან კულტურათა მოსავლის აღების მომზადებისა და ჩაბარების და პურის დამზადების შესახებ

ამხანაგებო! მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების თესვა რესპუბლიკაში მთავრდება. მხოლოდ რამდენიმე რაიონს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თესვა, მაგრამ ამ რაიონებშიც უახლოეს დღეებში დამთავრდება.

თბილისის ოლქმა უკვე ახლა უნდა გააჩაღოს მზადება თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისათვის, მარცვლეულის დამზადებისათვის.

მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოეწყობა მოსავლის აღება, როგორ ჩაივლის პურის დამზადება.

წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა — როცა ლაპარაკია მარცვლეულზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს უმთავრესად თბილისის ოლქი, — თავთავიან კულტურათა მოსავალი უნდა აიღონ ფართობზე, რომელიც 61.302 ჰექტარით აღემატება შარშანდელს.

პურეულის უმოკლეს ვადებში და უდანაკარგოდ აღება საქართველოს პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, იმის აუცილებელი პირობაა, რომ კოლმეურნეობებმა დროზე შეასრულონ თავიანთი პირველი მცნება — სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება.

შარშან მთელ რიგ რაიონებში, კერძოდ, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენისა და ზოგიერთ სხვა რაიონში, რაიონულ ხელმძღვანელთა უდარდელმა დამოკიდებულებამ ისეთი მნიშვნელოვანი საქმისადმი, როგორიც არის მოსავლის აღება, მისთვის არა თავის დროზე მომზადებამ, სამუშაოების დაგვიანებით დაწყებამ, მოსავლის ასაღები ინვენტარის ცუდად გამოყენებამ და შრომის არადამაკმაყოფილებელმა ორგანიზაციამ გამოიწვია ის, რომ მკა მეტისმეტად გაჭიანურდა და მარცვლეულის გალეწვა ნაწილობრივ გადმოტანილ იქნა წლევანდელი წლისათვის. ამან, ბუნებრივია, პურის დიდი დანაკარგები გამოიწვია.

შარშანდელი შეცდომები წელს არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა გამეორდეს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ მოსავლის აღების სამუშაოებზე უზრუნველყონ მთელი მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების სრულად გამოყენება, ყველა კოლმეურნე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ჩაბაბან შეჯიბრებაში პურეულის დროზე და სანიმუშოდ აღებისათვის, მარცვლის დამზადების სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უნდა უზრუნველყოთ მაღალხარისხოვანი თესლით, უნდა შეექმნათ საფურაჟე, სადაზღვევო და სხვა საზოგადოებრივი ფონდები, მივაღწიოთ მინდვრების სავლიანობის ახალ ზრდას, კოლმეურნეობების შემოსავლისა და კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებულ შრომადღეებზე გასაცემი მარცვლეულის ოდენობის გადიდებას.

კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამჟამად ხორციელდება სერიოზული ღონისძიებანი პურეულის მოსავლის აღებისათვის მოსამზადებლად, მაგრამ ბევრ რაიონში ეს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

კომბაინების რემონტის საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩნენ თეძამის მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელმაც 20 მაისისათვის 20 კომბაინიდან შეაკეთა მხოლოდ 7, წალკისა, რომელმაც 15 კომბაინიდან შეაკეთა 7, კასპისა, რომელმაც 19 კომბაინიდან შეაკეთა 10, ასურეთისა და დმანისისა, რომლებმაც 28 კომბაინიდან შეაკეთეს 14.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები მოვალენი არიან სწრაფად და უაღრესად გულდასმით მოამზადონ მოსავლის ასაღები მთელი ტექნიკა და პირველ რიგში კომბაინები.

საუკეთესო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის მრავალი წლის გაძოცდილება მოწმობს, რომ მოსავლის აღების წარმატებას, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის სწრაფად შესრულებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კომბაინების პარკის დროზე მომზადება, მისი სწორი, მაღალნაყოფიერი ექსპლოატაცია.

კომბაინების გამომუშავება უმაღლეს ზომამდე უნდა იქნას გადიდებული. იმ რაიონებიდან, სადაც მოსავალს უფრო გვიან იღებენ, მანქანები საჭიროების მიხედვით გადაყვანილ უნდა იქნან ისეთ რაიონებში, სადაც მოსავალს უფრო ადრე იღებენ. ჩვენს პირობებში, როცა კომბაინები არ გვყოფნის, ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. **(შეძახილები: „სწორია!“).**

ეს ღონისძიებანი რაც შეიძლება დიდი ოპერატიულობით, მოქნილობითა და სისწრაფით უნდა განხორციელდეს.

პურეულის ასაღებად მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული აგრეთვე მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და კოლმეურნეობების მარტივი ასაღები მანქანები. ამავე დროს სამკალი მანქანების რემონტი სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების 80 სამკალი მანქანიდან 20 მაისისათვის შეკეთებული იყო მხოლოდ 39, კოლმეურნეობების 130 სამკალი მანქანიდან კი — მხოლოდ 64.

არ უნდა დავუშვათ, რომ პურეულის აღება და გალეწვა თუნდაც მცირედ დამორღვეული იყოს ერთმანეთისაგან. აი რატომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ სალეწი მანქანების რემონტი ზუსტად დაწესებულ ვადებში დამთავრდეს. მაგრამ საქმე ამ მხრივაც ნელა მიდის.

20 მაისისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სახელოსნოებში შესაკეთებელი 420 სალეწი მანქანიდან ფაქტიურად შეკეთებული იყო მხოლოდ 131. ასეთ ზოზინს არავითარი გამართლება არა აქვს.

ამხანაგებო! როგორც თქვენთვის ცნობილია, წელს შარშანდელზე გაცილებით მეტი პური უნდა დავამზადოთ. ეს პარტიული, საბჭოთა და დამამზადებელი ორგანიზაციებისაგან მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ მთელი დამამზადებელი ქსელის მომზადებას მარცვლეულის მიღებისათვის. სამწუხაროდ, ეს ჯერჯერობით არა ჩანს. ზაგოტზერნო აშკარად არადამაკმაყოფილებლად ეწევა მარცვლეულის საწყობების მშენებლობას და 1952 წლის მოსავლის პურის მისაღებად ტექნიკური ბაზის მზადებას.

განსაკუთრებით ცუდია მდგომარეობა ახალი საწყობების აშენებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის მხრივ. მარცვლეულის 23 საწყობიდან 10 მაისისათვის აშენებული იყო მხოლოდ ერთი — მარნეულისა. უახლოეს დღეებში, ზაგოტზერნოს ცნობებით, უნდა დამთავრდეს საწყობების მშენებლობა წითელწყაროში, ნავთლუღში, წნორსა და თელავში.

მცხეთის, თიანეთის, კასპის, თელავის, გურჯაანის, ყვარლისა და გორის რაიონებში საწყობები ისე ნელა შენდება, რომ თუ მათი მშენებლობა მნიშვნელოვნად არ დაჩქარდა, ჩვენ ვერ შევძლებთ მთელი მარცვლეულის უზრუნველყოფას საწყობებით.

ცუდად სრულდება მარცვლეულის საწყობების მიმდინარე რემონტის გეგმაც. 20 მაისისათვის იგი შესრულებულია 83,3 პროცენტით. უფრო უარესად მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი. აქ შესრულება მხოლოდ 52,1 პროცენტს შეადგენს. ამაში ბრალი მიუძღვის ზაგოტზერნოს კანტორასაც,

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ზუსტად დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური კანონი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1952 წლის 26 მაისს

(დასასრული)

...რომელიც ძალიან ნელა ათავისუფლებს საწყობებს სარემონტო და სეზონისექციო სამუშაოებისათვის.

შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ზაგოტზერნოს წითელწყაროს კონტის საწყობებთან რკინიგზის მიმსვლელი გზების მშენებლობა ჯერ-ჯერობით არ არის დაწყებული, მიუხედავად იმისა, რომ პურეულის მიღების დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. ამავე დროს ცნობილია, რომ წითელწყაროს რაიონი მარცვლეული კულტურების მხრივ წამყვანი რაიონია რესპუბლიკაში.

ზაგოტზერნოს საქართველოს კანტორის მმართველმა ამხ. ე. წულაიამ ... ჩრდილოეთ კავკასიის „ზაგოტტროს“ ტრესტის წითელწყაროს საშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ... ამხ. რ. შენგელიამ, რომელსაც დაკისრებული აქვს ამ გზების მშენებლობა, უნდა გაითვალისწინონ წითელწყაროს რაიონის მნიშვნელობა ... გადაჭრით დააჩქარონ მისასვლელი გზების გაყვანა.

ყველაფერი, რაც კი საჭიროა პურის ... მატებით დამზადებისათვის, დროზე და სანიმუშოდ უნდა გაკეთდეს. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, განსაკუთრებით თბილისის საოლქო ორგანიზაცია, ვალდებული არიან მთელი ყურადღება მიაქციონ იმას, რომ პური აიღონ დროზე და უდანაკარგოდ, რომ სწრაფად, ვადამდე შეასრულონ პურის დამზადების გეგმა.

ამხანაგებო! ჩვენი რესპუბლიკისათვის პარტიისა და საკავშირო მთავრობის ზრუნვის საპასუხოდ ჩვენ უნდა ვიკისროთ ვალდებულება, რომ ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველებმა ვუპატაკოთ ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს პურის დამზადების გეგმის შესრულება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა, საკუთარი წარმოების მარცვლეულით საქართველოს უზრუნველყოფა ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მის გადაჭრაში წამყვან როლს თბილისის ოლქი ასრულებს.

ეჭვი არ არის, რომ თბილისის საოლქო პარტიული ორგანიზაცია უზრუნველყოფს ამ საპატიო ამოცანის შესრულებას.

ბელადისადმი ჩვენი პატაკი იქნება საუკეთესო დადასტურება ამხანაგ სტალინის მითითებათა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულებისა, იქნება მაჩვენებელი ჩვენს მუშაობაში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსწორებისა, ამ მუშაობის გარდაქმნისა, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წინაშე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ახალი ამოცანები.

ჩაი

რამდენიმე სიტყვა ჩვენი ჩაის მეურნეობის შესახებ, ჩაის ფოთლის კრეფის შესახებ.

წელს გაზაფხული გაჭიანურდა. გასულ წელთან შედარებით იგი დაახლოებით ერთი თვით გვიან დაიწყო. ... ხელი შეუშალა ჩაის ბუჩქების ვეგეტაციას და გავლენა მოახდინა ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმაზე.

ჩაის ფოთლის კრეფის აპრილისა და მაისის გეგმა 25 მაისისათვის შესრულებულია მხოლოდ 37 პროცენტით, ... ქუთაისის ოლქში — 35,9 პროცენტით, აფხაზეთში — 39,2 და აჭარაში — 39,7 პროცენტით.

როგორც ვხედავთ, ჩვენ ძალიან და ძალიან ჩამოვრჩებით. ეს ჩამორჩენა რაც შეიძლება მალე უნდა გამოვასწოროთ.

პარტიის ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებმა, ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ბეჯითად უნდა იმუშაონ, რომ დააჩქარონ ჩაის ფოთლის კრეფა. საქართველოში არ უნდა იყოს ისეთი რაიონი, რომელიც არ შეასრულებს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმას, ისეთი რაიონი, რომელიც არ მოგვცემს მხოლოდ მაღალი ხარისხის ჩაის ფოთოლს.

ქუთაისის ოლქის, აფხაზეთისა და აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა ამინდის ძნელ პირობებში ღირსეულად უნდა განახორციელონ მათთვის დაკისრებული ამოცანები, არა მარტო მოლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა.

ჩაის პლანტაციებში ზოგიერთი სამუშაოც ჩამორჩება. ამ ჩამორჩენას ბოლო უნდა მოეღოს. ჩაის ყოველ ბუჩქს მზრუნველობით უნდა ვუვლიდეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ უხვი მოსავალი.

სუბტროპიკული რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს ამჟამად განსაკუთრებული ოპერატიულობა მოეთხოვებათ.

ფაბრიკების სიმძლავრე ყველგან საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ერთბაშად გადაამუშაონ მთელი შემოსული ჩაის ფოთოლი. ამიტომ, დანაკარგები რომ არ დავუშვათ, საჭიროა შემოვიღოთ ჩაის ფოთლის გადატანა ერთი ფაბრიკიდან მეორეში.

პარტიის ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტების მდივნებმა პირადად უნდა უხელმძღვანელონ ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების საქმეს. არახელსაყრელი კლიმატური პირობებით გამოწვეული სიძნელეები გადალახულ უნდა იქნას კარგად მოწყობილი, ბოლშევიკური მუშაობით. ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა ვადამდე უნდა შესრულდეს.

* * *

ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები პირნათლად რომ შევასრულოთ, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო ოქეთ უნდა უხელმძღვანელონ სოფლის მეურნეობას, უხელმძღვანელონ კონკრეტულად, დიფერენცირებულად. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონეზე, იმაზე, თუ რამდენად სწორად და სრულად იქნება გამოყენებული თვითეული კოლმეურნეობის, თვითეული მანქანა-ტრაქტორთა სადგურისა და საბჭოთა მეურნეობის შესაძლებლობანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდისათვის.

სოფლის მშრომელთა ღონისძიებანი ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ მიაღწიონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას, საზოგადოებრივი პროდუქციის სულადობის სწრაფ მატებას და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდას. ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რაც კი საჭიროა სოფლის მეურნეობის დარგის ამ მთავარი ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

ჩვენი ამოცანაა ვასრულებდეთ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის მითითებებს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის შესახებ, ვასრულებდეთ ისე, როგორც გვასწავლიდა, თავისი პირადი მაგალითით გვაჩვენებდა ამხანაგ სტალინის თანამებრძოლი ლავრენტი პაველს-ძე ბერია.

პარტიის, მთავრობის, პირადად ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ახალი პასუხსაგები ამოცანები მოითხოვენ სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებას.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ამაღლდეს პარტიის რაიონული და საოლქო კომიტეტების, რაიონული და საოლქო საბჭოების აღმასკომების მიერ თვითეული კოლმეურნეობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობის დონე.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა მუშაკები ბოლშევიკურად გამოასწორებენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ სოფლის მეურნეობაში დაშვებულ შეცდომებს, დაეუფლებიან ხელმძღვანელობის სტალინურ სტილს, გააძლიერებენ ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას მასებში და ამ საფუძველზე 1952 წელს უზრუნველყოფენ ახალ წარმატებებს საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ეს იქნება საუკეთესო პასუხი საბჭოთა საქართველოსათვის ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ სტალინის ზრუნვაზე.

ამით საქართველოს კომპარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი კვლავ და კვლავ ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ჩვენი ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, მშობლიური სტალინისადმი.

(მეუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

მრისხანე პროტესტი კორეაში ამერიკელ აგრესორთა სისხლიანი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ

მოსკოველ მშრომელთა საერთოსაქალაქო მიტინგი

ამერიკელი აგრესორები, რომლებიც ავაზაკურ ომს ეწევიან მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ადამიანთა მასობრივი მოსპობის ყველაზე საზარელ საშუალებას — ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ იარაღს ხმარობენ. მათ მხეცობაში დიდად გადააჭარბეს ჰიტლერელ ჯალათებს.

მთელი მსოფლიო შეაძრწუნა ამერიკის აღვირახსნილი სამხედრო ხროვის ახალმა ავაზაკურმა დანაშაულობამ. ამერიკელმა ინტერვენტებმა კორეის ოდესღაც მშვიდობიანი კუნძული კოჯედო სიკვდილის კუნძულად გადააქციეს. ისინი აქ სისხლიან მხეცობას სჩადიან კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეების მიმართ: აწამებენ და ხოცავენ მათ, მათზე ცდიან გაზებსა და შხამებს, მომაკვდინებელი მიკრობებისა და ატომური იარაღის მოქმედებას. სამხედრო ტყვეთა მიმართ ძალადობისა და მკვლელობის ფაქტები აღიარეს კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეთა ამერიკის ბანაკების კომენდანტებმა. ამერიკის სამხედრო ხროვა გულგრილად არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს.

ამერიკის სამხედრო ხროვის უმაგალითო დანაშაული საბჭოთა ხალხის დიდ აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს.

29 მაისს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, საერთოსაქალაქო მიტინგზე შეიკრიბნენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, რომელთაც გულში უღვივით მხურვალე სიყვარული ადამიანისადმი და მისწრაფება მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლას.

მშვიდობის დაცვის მოსკოვის კომიტეტის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, პროფესიულ კავშირთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს დავალებით მიტინგს ხსნის აკადემიკოსი ი. გ. პეტროვსკი.

აკადემიკოს ი. გ. პეტროვსკის შესავალი სიტყვა

მთელ მსოფლიოს მოედო კუნძულ კოჯედოს ტერიტორიაზე და პუსანში ამერიკელ აგრესორთა სისხლიანი ბოროტმოქმედების ამბავი. მთელი პროგრესული კაცობრიობა აღშფოთებულია ამერიკელ ინტერვენტთა ახალი დანაშაულით, რომლებმაც სრულიად დაკარგეს ადამიანის სახე, ფეხქვეშ თელავენ ადამიანური მორალის ყველა ნორმას, ცინიკურად და უტიფრად არღვევენ მათ მიერვე ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებებს.

ჩინელი და კორეელი ხალხები სამხრეთ კორეის კუნძულ კოჯედოს, სადაც განლაგებულია სამხედრო ტყვეთა ბანაკები, სიკვდილის კუნძულს ეძახიან. ამ კუნძულზე აწამებენ, ძალადობას ხმარობენ, მასობრივად ხოცავენ სამხედრო ტყვეებს. კოჯედოზე მოწყობილია ბაქტერიოლოგიური და ქიმიური ლაბორატორიები, სადაც ცოცხალ ადამიანებზე ცდიან მომწამლავ გაზებს, შავი ჭირის, ხოლერისა და სხვა დაავადებათა მიკრობებს.

წელს ამერიკის სამხედრო ხროვა რამდენჯერმე მხეცურად გაუსწორდა კორეის სახალხო არმიის სამხედრო ტყვე ჯარისკაცებსა და ჩინელ სახალხო მოხალისეებს. ამერიკელები ტყვეებს ტყვიამფრქვევებით ხვრეტდნენ და ხელგრანატებს აყრიდნენ მათ.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა საერთაშორისო შეთანხმება ითვალისწინებს საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მეომარი მხარეების მიერ ყველა სამხედრო ტყვის უსიტყვო რეპატრიაციას, ამერიკელი აგრესორები დაჟინებით იცავენ სამხედრო ტყვეთა ეგრეთწოდებულ „ნებაყოფლობითს“ რეპატრიაციას, რისთვისაც თხზავენ სულელურ ზღაპრებს, თითქოს ბევრ ტყვეს არა სურს სამშობლოში დაბრუნება, ნამდვილად კი ჯალათებს სურთ ყოველგვარი საშუალებით, სიკვდილის მუქარით აიძულონ სამხედრო ტყვეები უარი თქვან სამშობლოში დაბრუნებაზე. სწორედ ამიტომ ამერიკელი დამნაშავენი სამხედრო ტყვეებისადმი კოჯედოს ბანაკსა და სხვა ბანაკებში იყენებენ მხეცურ წამებასა და ძალადობას. ისინი ცდილობენ ტყვედ წაყვანილი ჯარისკაცები დააკავონ ამოსაჟლეტად და დასამონებლად.

ამერიკელი აგრესორები ცდილობდნენ მიეჩქმალათ სამხედრო ტყვეებისადმი მხეცური მოპყრობის ფაქტები, მაგრამ არ შეიძლება სამართლე დაუშალონ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს. ამერიკელ აგრესორთა არაადამიანური მოქმედებისადმი კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების გმირული წინააღმდეგობის მეოხებით სიმართლე იმის შესახებ, თუ რა ხდება სამხედრო ტყვეთა ამერიკულ ბანაკებში, ცნობილი გახდა მთელი მსოფლიოსათვის. კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეთა ბანაკის თვით ყოფილი კომენდანტი გენერალი კოლსონი იძულებული გახდა განეცხადებინა: „...ვაღიარებ, რომ იყო სისხლისღვრის შემთხვევები, როცა ბევრი სამხედრო ტყვე მოკლეს და დაჭრეს გაერთიანებული ერების ჯარებმა“. კოლსონმა აგრეთვე აღიარა, რომ სამხედრო ტყვეთა შორის ეწეოდნენ იძულებითს გადარჩევას.

გენერალ კოლსონის აღიარებამ შეშფოთება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში. მაგრამ, კოლსონის აღიარების გარდა, არსებობს ათობით სხვა უდავო მოწმობა და დოკუმენტი, რომლებიც ამერიკის სამხედრო ხროვას ამხილებს მის სისხლიან დანაშაულობაში. ახლა სიტყვა „კოჯედო“ დაისმება საშინელი სიტყვების „ოსვენციმის“ და „მაიდანეკის“ გვერდით. ამერიკელმა დამპყრობლებმა ჰიტლერელ ავაზაკებს გადააჭარბეს თავიანთ მხეცობაში იმ უმწეო ადამიანთა მიმართ, რომლებიც მათს ხელში აღმოჩნდნენ.

აი როგორია მათი „ცივილიზაცია“, აი როგორია მათი „ჰუმანურობა“, რაზედაც ისინი გაჰკივიან, რასაც იკვეხნიან, რაც მათ სხვა ხალხებისათვის მიაქვთ.

საბჭოთა ხალხი, ისევე როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობა, ერთსულოვნად გამოთქვამს გულისწყრომას და აღშფოთებას კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ ამერიკის სამხედრო ხროვის ავაზაკურ დანაშაულობათა გამო. ჩვენ ვგმობთ ამ ავაზაკურ დანაშაულობას და მოვითხოვთ მის შეწყვეტას.

ჩვენ მოვითხოვთ შეწყდეს აგრესია კორეაში, კორეელ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა თავისუფლად აშენოს მშვიდობიანი შემოქმედებითი ცხოვრება.

მშვიდობის დაცვის მოსკოვის კომიტეტის, პროფესიულ კავშირთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის დავალებით ქალაქ მოსკოვის მშრომელთა საერთოსაქალაქო მიტინგს გახსნილად ვაცხადებ.

პროფესორ თ. ი. კოჟევნიკოვის სიტყვა

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელთა შეიარაღებული ძალები ავაზაკურად დაესხნენ თავს კორეას, აგრესიის საზარელი აქტი ჩაიდინეს. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, რომელიც მთელი მოწინავე კაცობრიობის სამართალშეგნებას გამოხატავს, აგრესია ყველაზე ძველი დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებმაც აგრესიის უმაგალითო აქტი ჩაიდინეს მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ, თავიანთი დანაშაულებრივი ინტერვენციით მის წინააღმდეგ უტიფრად გათელეს საერთაშორისო სამართლის ყველა პრინციპი, ომის საყოველთაოდ აღიარებული კანონები და ადამიანური მორალის სრულიად ელემენტარული საწყისები.

კორეაში ამერიკელ ინტერვენტთა ბოროტმოქმედებამ შორს მოიტოვა უკან ჰიტლერელთა აღმაშფოთებელი დანაშაულობანი მეორე მსოფლიო ომის დროს. ამერიკელმა დამპყრობლებმა დაიწყეს კორეასა და ჩრდილოაღმოსავლეთ ჩინეთში ბარბაროსული ბაქტერიოლოგიური იარაღის სისტემატური გამოყენება, რომლის მიზანია მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მოსპობა, უხეშად დაარღვიეს ჟენევის 1925 წლის 17 ივნისის ოქმი. ეს საერთაშორისო აქტი სასტიკად კრძალავს ომში მახრჩობელა, შხამიანი თუ სხვა ასეთი გაზებისა და ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა ხმარებას და მიაჩნია, რომ ეს აკრძალვა თანაბრად სავალდებულოა ყველა ხალხის სინდისისა და პრაქტიკისათვის.

ამჟამად მთელი მსოფლიო შეძრწუნებული და აღშფოთებულია ამერიკელ დამპყრობთა სისხლიანი ახალი დანაშაულობით, კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ დანაშაულობით. ამერიკელი ინტერვენტები ცინიკურად იგდებენ აბუჩად სამხედრო ტყვეობის სრულიად ელემენტარულ წესებს, რომლებიც დამკვიდრებულია მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით.

სამხედრო ტყვეობის თანამედროვე რეჟიმი ზუსტად განსაზღვრულია ჰაგის 1907 წლის IV კონვენციით, ჟენევის 1929 წლისა და 1949 წლის კონვენციებით, რომლებმაც განამტკიცეს წინათ ადათად არსებული შესაბამისი ნორმები საერთაშორისო სამართლისა.

სახმელეთო ომის კანონებისა და ადათების შესახებ დებულებაში, რომელიც ჰაგის 1907 წლის კონვენციაში შედის და რომელსაც ხელი მოაწერეს და დაამტკიცეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, პირდაპირ აღნიშნულია, რომ სამხედრო ტყვეებს „კაცთმოყვარულად უნდა მოეპყრონ“. მოქმედ არმიებში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1929 წლის 27 ივლისის კონვენციის თანახმად, ტყვედ ჩავარდნილ დაჭრილებსა და ავადმყოფებს, „განურჩევლად ეროვნებისა, კაცთმოყვარულად უნდა მოეპყროს ის მეომარი მხარე, რომლის ხელშიც ისინი აღმოჩნდებიან“ (მუხ. 1).

სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციაში, რომელსაც ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმაც, ნათქვამია: „სამხედრო ტყვეებს ყოველთვის ჰუმანურად უნდა მოეპყრონ. ყოველი უკანონო აქტი თუ უმოქმედობა ტყვეების მყოლი სახელმწიფოს მხრივ, რაც მის ხელში მყოფი სამხედრო ტყვის სიკვდილს იწვევს, ან სამხედრო ტყვის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, აკრძალულია და განხილულ იქნება როგორც ამ კონვენციის სერიოზული დარღვევა. კერძოდ, არ შეიძლება არც ერთი სამხედრო ტყვის ფიზიკური დასახიჩრება ან და მასზე რაიმე ხასიათის სამეცნიერო თუ სამედიცინო ცდის წარმოება... სამხედრო ტყვეები მუდამ დაცულ უნდა იქნან. განსაკუთრებით, ძალადობისა თუ დაშინების ყოველგვარი აქტისაგან... აკრძალულია მათ მიმართ რეპრესალიების გამოყენება“. (მუხ. 13).

ამერიკელი დამპყრობლები უმაგალითო ცინიზმით თელავენ ფეხქვეშ საერთაშორისო სამართლის ამ ნორმებს.

ამერიკელ იმპერიალისტთა აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედებას წარმოადგენს სამხედრო ტყვეთა კომშმარული ტრაგედია კუნძულ კოჯედოზე—სიკვდილის კუნძულზე. ახლა მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია უდავო საბუთები და დოკუმენტები საშინელი პიროობების შესახებ, რომლებშიც ამ კუნძულზე გმინავს 80 ათასამდე დამწყვდეული სამხედრო ტყვე. ეს კუნძული გადაქცეულია ნამდვილ ჯოჯოხეთად. სამხედრო ტყვეთა საშინელი წამება, არაადამიანური ტანჯვა და მასობრივი ელეტა აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. სამხედრო ტყვეებს შანთით აწამებენ, თავქვე ჰკიდებენ, ცხვირის ნესტოებში წყალს ასხამენ. ამერიკის საიდუმლო ლაბორატორიებში სამხედრო ტყვეებს იყენებენ როგორც საცდელ ცხოველებს მათზე ახალი საშინელი შხამებისა და გადამდებ სნეულებათა ბაქტერიების მოქმედების გამოსაცდელად. კუნძულ კოჯედოზე განახლდა ოსვენციმის, მაიდანეკისა და ბუხენვალდის საშინელებანი!

ცნობილია, რომ კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეთა ბანაკის ყოფილმა კომენდანტმა ჩარლზ კოლსონმა საქვეყნოდ აღიარა, რომ ამერიკელები სისხლისღვრას უწყობენ სამხედრო ტყვეებს. მაგრამ ამ აღიარების გარდაც ჩვენ გვაქვს ასობით უაღრესად სარწმუნო დამამტკიცებელი საბუთი, ასობით ადამიანის ჩვენება, რომლებმაც ეს საშინელება გადაიტანეს და შემთხვევით გადაურჩნენ ბანაკებში სიკვდილს, სხვადასხვა გაზეთის ათეული კორესპონდენტის ცნობები, რომლებიც უდავოდ ადასტურებენ მხეცობისა და ძალადობის ამ არაადამიანურ აქტებს.

სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ საერთაშორისო კონვენციების ყველა ზემოაღნიშნული დებულების უხეშად დარღვევის გარდა, ამერიკელმა აგრესორებმა კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე ახლა ულტიმატუმური ფორმით წამოაყენეს სრულიად დაუსაბუთებელი პირობა სამხედრო ტყვეთა ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი“ რეპატრიაციის შესახებ, რაც უხეშად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და ჰუმანურობის პრინციპებს.

ყველა სამხედრო ტყვის რეპატრიაცია საომარი მოქმედების შეწყვეტისთანავე თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული დებულებაა.

აღნიშნული დებულება თავის გამოხატულებას პოულობს მთელ რიგ საერთაშორისო კონვენციებში, რომლებიც სამხედრო ტყვეებს ეხება.

ჰაგის 1899 წლისა და 1907 წლის კონვენციებში, აგრეთვე სამხედრო ტყვეთა შესახებ ჟენევის 1929 და 1949 წლების კონვენციებში დადგენილია საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ყველა სამხედრო ტყვის სრული და უსიტყვო რეპატრიაციის პრინციპი.

აღნიშნული კონვენციები ითვალისწინებენ ამ წესის ერთადერთ გამონაკლისს — შეიძლება დაკავებულ იქნან ის სამხედრო ტყვეები, რომელთა წინააღმდეგაც აღძრულია სისხლის სამართლის დევნა ანდა რომლებიც იხდიან სასჯელს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ამერიკელი ინტერვენტები უხეშად არღვევენ სამხედრო ტყვეთა უთუო რეპატრიაციის პრინციპს, მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები მონაწილენი არიან ჰაგის 1907 წლის კონვენციისა, რომელიც ეხება სამხედრო ტყვეთა საკითხს, ჟენევის 1929 წლის კონვენციისა სამხედრო ტყვეთა შესახებ და 1949 წლის ჟენევის კონვენციისა სამხედრო ტყვეთა შესახებ, რომელსაც მათ ხელი მოაწერეს. ცნობილია, რომ აღნიშნული კონვენციებით შეერთებული შტატების მიერ ნაკისრი ვალდებულებანი სამხედრო ტყვეთა მიმართ მათ დაადასტურეს 1951 წლის ივლისში, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ოსტინის სპეციალური წერილით გენერალური მდივნის სახელზე შეერთებული შტატების მთავრობამ განაცხადა, რომ ამერიკის ჯარები კორეაში განუხრელად დაიცავენ ამ კონვენციებს.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული კონვენციების საწინააღმდეგოდ ამერიკის მხარემ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში წამოაყენა მოთხოვნა მოხდეს სამხედრო ტყვეთა გაცვლა ერთში ერთის პრინციპის საფუძველზე და ამასთან აშკარად სურდა ტყვეობაში დაეკავებინა 165 ათასზე მეტი კაცი 176 ათას კორეელ-ჩინელ სამხედრო ტყვის საერთო რიცხვიდან. უფრო გვიან ამერიკის მხარემ წამოაყენა წინადადება ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი“ რეპატრიაციის შესახებ ერთადერთი მიზნით—ჩაეშალა კორეაში საზავო მოლაპარაკება, განეგრძო და გაეფართოებინა ომი შორეულ აღმოსავლეთში და გაეძლიერებინა ახალი მსოფლიო ომის დაწყების საფრთხე.

სამხედრო ტყვეების საშინელ წამებას და მათს მხეცურად აბუჩად აგდებას, დადაღვასა და ტატუირებას ამერიკელი ინტერვენტები იმისათვის მიმართავენ, რომ ძალად დააკავონ კორეა-ჩინეთის მხარის სამხედრო ტყვეები, რათა ისინი გადასცენ ჩან კაი-შისა და ლი სინ-მანის ბანდებს და გამოიყენონ საზარბაზნე ხორცად ომის გაფართოების თავიანთი გეგმების განხორციელებისას. ხოლო ეგრეთწოდებულ „გადარჩევას“ ამერიკელები ახორციელებენ ხიშტების დახმარებით და სამხედრო ტყვეების ხოცვა-ჟლეტით.

საზარელი მხეცობა, რასაც ამერიკელი აგრესორები სჩადიან, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მრისხანე პროტესტს და ერთსულოვან აღშფოთებას იწვევს.

საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, რომლებიც აღიარებულია ნიურნბერგის 1945 წლის ტრიბუნალის სტატუტით და დადასტურებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1946 წლის 11 დეკემბერს, მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანები მოითხოვენ ხალხთა სამსჯავროში მიცემულ იქნან რიჯუეი, კოლსონი, დოდი, ბოუტნერი და კორეაში მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ საზარელ დანაშაულობათა სხვა მონაწილენი.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ჩვენს ძლიერ ხმას ვუერთებთ ამ მოთხოვნებს.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ არსებული საერთაშორისო შეთანხმებანი და ვალდებულებანი უსიტყვოდ სრულდებოდეს. ჩვენ ვერავის ვერ მივცემთ ნებას დაუსჯელად ჩაიდინოს დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

მშვიდობისმოყვარე ხალხებმა უნდა ალაგმონ და კიდევაც ალაგმავენ ჯალათებს, რომლებმაც დაკარგეს ადამიანის სახე და მხეცების დონემდე დაეცნენ!

წითელი ჯვრის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის ექიმ ამხ. მ. თ. დეორნიჩენკოს სიტყვა

ამხანაგებო!

წითელი ჯვრის ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობენ და სხვადასხვა რასისა და ერის, სხვადასხვა რწმენისა და სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ასეულ მილიონობით ადამიანს აერთიანებენ, ამოცანად ისახავენ [illegible]ერგონ თავიანთ წევრებს ადამიანი[illegible]ადმი ჰუმანური დამოკიდებულების გრძნობა, გაუწიონ მათ მატერიალური, სამედიცინო და ყოველგვარი სხვა დახმარება და მორალური მხარდაჭერა სტიქიური უბედურების შემთხვევაში, აგრეთვე ომის დროს. ეს ორგანიზაციები კისრულობენ ზრუნვას ავადმყოფებისა და დაჭრილებისათვის, აგრეთვე სამხედრო ტყვეების ადამიანურ უფლებათა დაცვას, რა არმიასა და ერსაც უნდა ეკუთვნოდნენ ეს სამხედრო ტყვეები. ეს ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყველა საერთაშორისო კონვენციის შემუშავებაში, რომლებიც შეეხებოდა ომის ჰუმანური წარმოების საკითხებს, მათ შორის სამხედრო ტყვეებისადმი ადამიანური მოპყრობისა და ომის საშინელებისაგან მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის საკითხებს.

წითელი ჯვრის ორგანიზაციებს მთელ მსოფლიოში თავიანთ ამოცანად დასახული აქვთ მტკიცედ აღვენონ თვალყური იმას, რომ ომის ჰუმანური წარმოების საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, მშვიდობიანი მოსახლეობისადმი და სამხედრო ტყვეებისადმი ჰუმანური მოპყრობის წესებს, აგრეთვე საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ამ საკითხებს შეეხება, მტკიცედ იცავდეს ყველა მთავრობა და ყველა მეომარი მხარე ყოველ ომში.

წითელი ჯვრის საბჭოთა ორგანიზაციები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, აღზრდილნი სოციალისტური ჰუმანიზმის სულისკვეთებით, ადამიანისადმი დიდი პატივისცემის სულისკვეთებით, ყველა ხალხისა და ერის ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით, განსაკუთრებით შეურიგებლად ეკიდებიან ადამიანებისადმი მხეცური მოპყრობის ყოველგვარ გამოვლინებას.

აი ამიტომ ყოველი ჩვენგანი უაღრესად აღშფოთებულია ამერიკელ აგრესორთა საზიზღარი დანაშაულის ახალი ფაქტებით, რასაც ისინი სჩადიან კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ, რომლებიც იმყოფებიან სამხედრო ტყვეების ბანაკებში კუნძულ კოჯედოზე და პუსანის მახლობლად.

ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედებანი ეწინააღმდეგებიან სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის ყველა საერთაშორისო ნორმებს, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო შეთანხმებებით, კერძოდ, ჰაგის 1907 წლის კონვენციით და ჟენევის 1929 და 1949 წლების კონვენციებით, რომლებიც მოითხოვენ სამხედრო ტყვეებისადმი ჰუმანურ მოპყრობას.

(დასასრული მე-4 გვ.).

მრისხანე პროტესტი კორეაში ამერიკელ აგრესორთა სისხლიანი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ

მოსკოველ მშრომელთა საერთოსაქალაქო მიტინგი

(დასასრული)

მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები ერთსულოვნად მოითხოვენ ამ ბოროტმოქმედებათა შეწყვეტას. ხალხების ამ ერთსულოვან მოთხოვნაში მძლავრად გაისმის აგრეთვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის წითელი ჯვრის ორგანიზაციების წევრთა ხმა, რადგან სამხედრო ტყვეების ადამიანურ უფლებათა დაცვის საქმე მათი წმიდა მოვალეობაა.

მაგრამ ამ ერთიან, ნამდვილად საერთაშორისო პროტესტში არ გაისმის წითელი ჯვრის ეგრეთწოდებული „საერთაშორისო“ კომიტეტის ხმა, თვითნებურად მიითვისა რა „საერთაშორისოს“ სახელწოდება, ეს კომიტეტი 19 შვეიცარიელი ბანკირისა და მრეწველისა, რომელნიც მჭიდროდ დაკავშირებული არიან ამერიკელ ჰონოპოლისტებთან და მოქმედებენ მათ საამებლად, თავისი დუმილით ფარავს უმაგალითო დანაშაულს სამხედრო ტყვეების მიმართ, როგორც იგი ამას სჩადიოდა უკვე მეორე მსოფლიო ომის წლებში. მაშინ მან კრინტიც არ დაძრა მაიდანეკის, ოსვენციმისა და ბუხენვალდის სიკვდილის ბანაკებში ჰიტლერელების საზარელ დანაშაულობათა დასაგმობად. ახლა იგი კრინტს არ ძრავს კოჯედოსა და პუსანის სიკვდილის ბანაკებში ამერიკელი აგრესორების საზარელ დანაშაულობათა დასაგმობად. მაშინ ეს კომიტეტი, სამხედრო ტყვეთა ჰიტლერული ბანაკების დათვალიერების შემდეგ, ცინიკურად სჯერდებოდა ლათაიებს სიკვდილის ბანაკებში კინოსა და თეატრების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ახლა ეს კომიტეტი, მას შემდეგ, რაც მისმა წარმომადგენლებმა დაათვალიერეს სიკვდილის ბანაკი კოჯედოში, ასევე ცინიკურად სჯერდება ლათაიებს იმის შესახებ, რომ ზოგიერთ სამხედრო ტყვეს საკმაო კვება არა აქვს და ცუდი ფეხსაცმელი აცვია, და ერთი სიტყვითაც არ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას იმ საშინელი წამებისადმი, ხვრეტისა და ცემისადმი, რაც გამეფებულია სამხედრო ტყვეთა კორეის ამერიკულ ბანაკებში და რაც ამკარაა თვითეული პატიოსანი ადამიანისათვის.

საბედნიეროდ, წითელი ჯვრის ეს თვითმარქვია „საერთაშორისო“ კომიტეტი ოდნავაც არ გამოხატავს მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის წითელი ჯვრის ორგანიზაციების წევრთა ნებას.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის წითელი ჯვრის საზოგადოების მილიონნახევარი წევრი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მთელი მსოფლიოს ხალხთა ნება იხსნის კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს იმ საშინელებისაგან, რომელშიც ისინი ჩაყარა ამერიკის დანაშაულებრივმა სამხედრო ხროვამ.

სამართალი, სამართლიანობა და ჰუმანიზმი გაიმარჯვებს თვითნებობასა და ძალადობაზე.

დამნაშავეებსა და მათ თანამონაწილეებს სამარცხვინო ბოძზე გააკრავენ და სასტიკად დასჯიან.

ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ ოსტატის ამხ. ი. მ. რომანოვის სიტყვა

მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანი გულისწყრომით ეკმობა ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებმაც თავიანთი მხეცობითა და ძალადობით გადააჭარბეს ჰიტლერელ ავაზაკებს.

საბჭოთა ხალხი, დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანი მტკიცე პროტესტს აცხადებენ კაცობრიობის მტრების — ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი დაქირავებული აგენტების დანაშაულობათა წინააღმდეგ.

ამ პროტესტს ვუერთებ ჩემს ხმას მეც — უბრალო საბჭოთა ადამიანი — მოსკოველი ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხნის „სერპ ი მოლოტის“ ოსტატი.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი ყოველთვიურად ასობით ტონა ლითონს იძლევა გეგმის გადამეტებით. ეს ლითონი ხმარდება კომუნიზმის დიად მშენებლობებს, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. ჩვენ ვახორციელებთ სამშვიდობო გეგმებს, რომელთა მიზანია ააყვაოს ჩვენი სოციალისტური სამშობლო, გაუმჯობესოს მშრომელთა კეთილდღეობა.

ამ ტრიბუნიდან დედაქალაქის მეტალურგთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით ძმური სოლიდარობისა და მხურვალე სიყვარულის გრძნობას გამოვთქვამ კორეის დამცველებისადმი. ჩვენ მოვითხოვთ კორეაში ამერიკელ იმპერიალისტთა მხეცობის, კორეელი ხალხის წინააღმდეგ მძარცველური, დამპყრობლური ომის შეწყვეტას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამერიკელმა გესტაპოელებმა შეწყვიტონ კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების საზიზღარი აბუჩად აგდება.

მსოფლიოს ხალხები შეაჩერებენ მკვლელთა სისხლიან ხელს.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, თავდადებული შრომით კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ბურჯის ძლიერებას.

საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის კომუნიზმის გზით კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით!

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის ლოქტორანტის ამხ. ს. ხ. სირაჟდინოვის სიტყვა

კუნძულ კოჯედოს და პუსანის ბანაკებში კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ ამერიკის სამხედრო ხროვის არაადამიანური სისასტიკე და ხოცვა-ჟლეტა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდი აღშფოთებისა და გულისწყრომის გრძნობას იწვევს.

მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანისათვის „კოჯედო“ და „პუსანი“ კორეის სრუტის რაიონში უბრალო გეოგრაფიული სახელწოდებანი როდი ღაა; ახლა ეს სახელწოდებანი ისევე საზარლად გაისმის, როგორც თავის დროზე გაისმოდა მაიდანეკი, ბუხენვალდი და ოსვენციმი.

ამერიკელმა ჯალათებმა ვერ მოახერხეს დაეფარათ კორეაში თავიანთი ბანაკების საშინელი საიდუმლოება. სიმართლემ სიკვდილის ამ ბანაკებისა და იქ მყოფ კორეელ და ჩინელ პატრიოტთა გმირული წინააღმდეგობის შესახებ გადალახა ეკლიანი მავთულხლართი, ტანკის საფარები და სამხედრო ცენზურა. კორეის ამერიკულ ბანაკებში სამხედრო ტყვეებთან ბარბაროსული მოპყრობისა და მათი გაჟლეტის ფაქტებს ადასტურებს მრავალი მოწმე და დოკუმენტი. ეს ფაქტები დაადასტურეს თვით ბანაკების კომენდანტებმა— გენერლებმა კოლსონმა და დოდმა. მაგრამ ამერიკელი ინტერვენტები მთელი მსოფლიოს დასანახავად კვლავ განაგრძნობენ უმაგალითო ბოროტმოქმედებას კოჯედოზე და პუსანში, ეფარებიან რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამს.

სამხრეთ კორეის ბანაკებში გამომწყვდეულ ათეულ ათასობით ადამიანს სიკვდილის საფრთხე მოელის. ამერიკელი ჯალათები ცდილობენ წამებით, ტერორითა და ხვრეტით უარი ათქმევინონ მათ რეპატრიაციაზე, ესე იგი უარი ათქმევინონ სამშობლოზე, და „დაითანხმონ“, რომ იბრძოლონ თავიანთი ხალხის წინააღმდეგ, ესე იგი გახდნენ საზარბაზნე ხორცი უოლსტრიტელი აგრესორებისათვის; „საორთქლავი კამერები“, შანთი, მდუღარე წყლის დასხმა, იძულებითი ტატუირება და შხამიანი გაზები — აი ის საშუალებანი, რომლებზეც იმედს ამყარებენ ომის ამერიკელი გამჩაღებლები.

აზიის ხალხებმა უკვე დიდი ხანია გამოიცნეს იმპერიალისტური მტაცებლის ნამდვილი სახე, და დიდი ჩინელი ხალხის მაგალითისამებრ, რომელმაც დაამხო უცხოეთის იმპერიალიზმის ბატონობა და თავისუფალ, ბედნიერ ცხოვრებას აშენებს, ისინი ირაზმებიან თავიანთი განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად.

მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვგმობთ ამერიკელ მილიტარისტთა ბარბაროსობასა და ბოროტმოქმედებას კორეის სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ საერთაშორისო კონვენციების სრულად და ზუსტად დაცვას და კორეელი და ჩინელი ტყვე მეომრების რეპატრიაციას!

ქარხანა „კრასნი ბოგატირის“ მუშის ამხ. ა. პ. ფოკინას სიტყვა

გული მრისხანებით ივსება, როცა ფიქრობ, თუ ადამიანთა მასობრივი მოსპობის რა დანაშაულებრივ საშუალებებს იყენებენ ამერიკელი იმპერიალისტები მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავს. ამერიკის სამხედრო ხროვის საშინელ ღვარძლს საზღვარი არა აქვს.

კორეელი ხალხის ტანჯვა და მწუხარება მახლობელი და გასაგებია ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებსაც არ დაგვიწყებია ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ ომის მძიმე წლები.

საბჭოთა ადამიანებმა დიდი ძალა და შრომა მოანდომეს იმას, რომ მოეშუშებინათ გერმანელი ფაშისტების მიერ ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული მძიმე ჭრილობები.

ახლა კვლავ დღითიდღე სულ უფრო ლამაზი ხდება ჩვენი სამშობლო. დიდია წარმატებანი საბჭოთა ხალხისა, რომელიც ნათელ კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს. არა ომისათვის, არამედ მშვიდობისათვის გაგვყავს ჩვენ მცხუნვარე გვალვიან ველებში ახალი არხები, ვაშენებთ გიგანტურ ელექტროსადგურებს. არა ომისათვის, არამედ მშვიდობისათვის აშენებენ საბჭოთა ადამიანები მაღალ ნათელ შენობებს. არა ომისათვის, არამედ მშვიდობიანი, ბედნიერი ცხოვრებისათვის ზრდიან დედები თავიანთ შვილებს.

ჩვენს ქვეყანაში შრომა საამური და შემოქმედებითია. ჩვენ ყველანი, მოხუცი და ახალგაზრდა მუშები, ვშრომობთ ძალების დაუზოგავად და ვიცით, რომ შრომა ჩვენი საყვარელი სამშობლოს აყვავების საწინდარია, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საწინდარია.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ლენინ-სტალინის პარტიამ აღგვზარდა სხვა ხალხებისადმი მეგობრობისა და პატივისცემის სულისკვეთებით. მთელი ჩვენი ფიქრები მიმართულია იქითკენ, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრება გავხადოთ უკეთესი, უფრო ლამაზი. ჩვენთვის ადამიანის ცხოვრება ყველაფერზე ძვირფასია, რაც კი დედამიწაზე არსებობს. ამას გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

აი რატომ გმობენ საბჭოთა ადამიანები ასეთი დიდი გულისწყრომით ამერიკელ აგრესორებს იმ საზიზღარი მოქმედებისათვის, მხეცობისა და შეურაცხყოფისათვის, რასაც ისინი სჩადიან კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ, კორეის მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მოსპობისათვის.

მწერალ ა. სურკოვის სიტყვა

ამხანაგებო!

გულისწყრომის მწვავე გრძნობამ შეგვკრიბა ჩვენ დღეს ამ დარბაზში.

მალე ორი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ამერიკელი იმპერიალისტები თავს დაესხნენ მშვიდობისმოყვარე კორეელ ხალხს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამს ამოფარებულნი თავიანთ სისხლიან საქმეებს სჩადიან კორეის მიწა-წყალზე.

მრავალი საზარელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს ამ ხნის განმავლობაში ამერიკელმა დამპყრობლებმა მრავალტანჯულ კორეის მიწაზე.

ასობით ქალაქი, უძველესი კულტურის შესანიშნავი ძეგლი მათ აქციეს ნანგრევებად და ფერფლად, აყვავებული ბაღები აღგავეს პირისაგან მიწისა, ნაპალმით გადაწვეს ნათესები, დაწვეს ათასობით მშვიდობიანი სოფელი.

შურს იძიებენ რა მშვიდობიან მოსახლეობაზე თავიანთი სამხედრო დამარცხებისათვის, ამერიკელმა ინტერვენტებმა დახოცეს და დაასახიჩრეს მრავალი ათასი ბავშვი, ქალი და მოხუცი.

თავიანთ წინამორბედთა — ჰიტლერელ მკვლელთა ყველაზე საშინელ დანაშაულს გადააჭარბეს ამ ჯალათებმა, რომლებიც იკვეხნიან თავიანთი რასის ვითომდა უპირატესობას, უბადაღებულ ამერიკულ ცხოვრების წესს.

მთელ მსოფლიოს მოედო ცნობა იმ უმაგალითო მხეცობის შესახებ, რაც ხდება კორეის სახალხო არმიის ტყვე ჯარისკაცებისა და ტყვე ჩინელ სახალხო მოხალისეთა ამერიკულ ბანაკებში.

ახლა ყველამ იცის, თუ როგორ აწამებენ ამერიკელი აგრესორები უიარაღო ადამიანებს, ამაოდ ცდილობენ რა აიძულონ ისინი უარყონ სამშობლო და გახდნენ მოღალატეები.

კუნძულ კოჯედოს სამხედრო ტყვეთა ბანაკის ყოფილმა ამერიკელმა კომენდანტებმა კოლსონმა და დოდმა საჯაროდ დაადასტურეს იმ ბოროტმოქმედებათა და დანაშაულობათა ფაქტები, რომლებსაც ამერიკელი ინტერვენტები სჩადიან კუნძულ კოჯედოზე. ისინი გადააყენეს, მაგრამ ეს სასჯელი მათ მიიღეს არა ჩადენილი სისხლიანი დანაშაულისათვის, არამედ იმისათვის, რომ თავიანთი აღიარებით ახადეს ის ფარდა, რომლის უკანაც წარმოებს საშინელი მხეცობა კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ.

ამერიკელი იმპერიალისტები არც კი ფიქრობენ იმაზე, რომ შეწყვიტონ ბოროტმოქმედება და კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების აბუჩად აგდება. ეს ჩანს კუნძულ კოჯედოს ბანაკის ახალი კომენდანტის — ამერიკელი ბრიგადის გენერლის ბოუტნერის შემდეგი განცხადებიდან, რომელმაც დაადასტურა, რომ მას განზრახული აქვს კვლავაც სასტიკად გაუსწორდეს სამხედრო ტყვეებს. „ჩვენ ვაპირებთ, — თქვა გენერალმა ბოუტნერმა, — დავარწმუნოთ სამხედრო ტყვეები, რომ ჩვენ ძლიერნი ვართ... ძალიან ოპტიმისტური იქნებოდა მეფიქრა, რომ შევძლებ კონტროლის აღდგენას სისხლის დაუდვრელად...“. ათეულ ათასობით უიარაღო ადამიანს სამხრეთ კორეის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ფიზიკური მოსპობა ემუქრება. მხოლოდ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანთა მძლავრ პროტესტს შეუძლია აღკვეთოს ამერიკელ დამპყრობთა ახალი დანაშაულობანი და იხსნას ათასობით ადამიანის სიცოცხლე.

ვაცხადებ რა პროტესტს ამერიკელ ინტერვენტთა საზარელი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების სისხლი დაღვარეს კუნძულ კოჯედოზე და ბაქტერიოლოგიური იარაღი გამოიყენეს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მე არ შემიძლია გვერდი ავუარო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის აჩესონის ამასწინანდელ განცხადებებს.

აჩესონი ცდილობს, რომ ხალხთა მრისხანე პროტესტი ამერიკის სამხედრო ხროვის მიერ კორეაში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებისა და კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა მიმართ სისხლიანი მხეცობის წინააღმდეგ წარმოადგინოს როგორც ამერიკის „დევნისა“ და ამერიკელთა წინააღმდეგ „სიძულვილის გაღვივების“ კამპანია.

მთელი მსოფლიოს ხალხებმა იციან, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა აჩესონის საშუალებით უარყვეს ყველა წინადადება ბაქტერიოლოგიური იარაღისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახის იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ. მათ იციან, რომ სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თქვეს უარი შეერთებოდნენ ჟენევის კონვენციას, რომელიც კრძალავს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებას.

დროდადრო ამერიკის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები, მათ შორის სახელმწიფო მდივანი აჩესონი, უარყოფენ იმას, რომ ამერიკის ჯარები იყენებენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს. მაგრამ არც ერთ მათგანს დღემდე არ დაუგმია ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება, მხარი არ დაუჭერია ხალხების მოთხოვნისათვის ბაქტერიოლოგიური ომის, როგორც უსინდისო და არაადამიანური ომის დაგმობის შესახებ.

ხომ ცნობილია, რომ არა ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ საბჭოთა კავშირი გამოვიდა წინადადებით ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ და ეს წინადადება უარყვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ხალხებმა იციან, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კი არა, საბჭოთა კავშირი ეწევა მტკიცე ბრძოლას მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის, მასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და მის ტერიტორიაზე ოკუპაციის შეწყვეტისათვის, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები თიშავენ გერმანიას და ევროპის ცენტრში ქმნიან სამხედრო აგრესიის პლაცდარმს მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ.

აჩესონს არ ძალუძს უარყოს დოკუმენტებითა და მოწმეთა ჩვენებით დადგენილი ამერიკელ ინტერვენტთა სისხლიანი ბოროტმოქმედება კორეაში და ცდილობს დასწამოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ამ დანაშაულობათა წინააღმდეგ, მტრული გრძნობების გამოვლინება ამერიკელი ხალხისადმი. ნამდვილი მიზანი აჩესონის მრავალი განცხადებისა, რომლებითაც მშვიდობისმოყვარე ხალხებს ბრალს დებს ამერიკის „დევნაში“, ის არის, რომ შენიღბოს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების დანაშაულებრივი გეგმები, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ამზადებენ.

ცნობილია, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხები არასოდეს არ აიგივებდნენ ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებიც კორეაში უმაგალითო ბოროტმოქმედების ორგანიზატორები და აგრესიის სულისჩამდგმელები არიან, და ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობისმოყვარე ხალხს, რომელიც ამას წინათ ევროპისა და აზიის ხალხებთან ერთად იბრძოდა ფაშისტური შავი ჭირის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის ხალხები, ისევე როგორც დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანი, უფრო მეტი სიმტკიცით იბრძოლებენ მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ისინი მხურვალე და მრისხანე პროტესტს აცხადებენ ამერიკელ დამპყრობთა და აგრესიაში მათ თანამონაწილეთა სისხლიანი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ კორეაში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და სამხედრო დამნაშავეთა სასტიკად დასჯას.

მოსკოვის მშრომელთა საერთოსაქალაქო მიტინგის რეზოლუცია

ჩვენ, ქალაქ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, — მუშები, მოსამსახურეები, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მუშაკები, — შეეკრიბეთ საერთოსაქალაქო მიტინგზე, რათა ჩვენი პროტესტის ხმა შევუერთოთ მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანთა ხმას, რომლებიც გმობენ კორეაში სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ამერიკელ აგრესორთა მიერ ჩადენილ უმაგალითო, სისხლიან დანაშაულობას.

ეს დანაშაული წარმომადგენს ამერიკელ იმპერიალისტთა ახალ საზარელ ბოროტმოქმედებას მას შემდეგ, რაც მათ ამას წინათ ბაქტერიოლოგიური იარაღი იხმარეს კორეასა და ჩრდილოეთ ჩინეთში. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს დღემდე არ დაუგმიათ ადამიანთა მასობრივი მოსპობის ამ ბარბაროსული საშუალების ხმარება და ამით დაადასტურეს თავიანთი მისწრაფება მომავალშიც იხმარონ ეს უსინდისო, არაადამიანური იარაღი.

ახლა ამერიკელი იმპერიალისტები კვლავ ფეხქვეშ თელავენ ადამიანის მორალის პრინციპებს, საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას.

სამხედრო ტყვეთა შესახებ ჰაგისა და ჟენევის კონვენციების დარღვევით ამერიკელმა ინტერვენტებმა კუნძულ კოჯედოზე და კორეის სხვა ნაწილებში სამხედრო ტყვეთა ბანაკები გადააქციეს სიკვდილის ბანაკებად, ოსვენციმში, ბუხენვალდსა და მაიდანეკში სიკვდილის ჰიტლერული ბანაკების მსგავს ბანაკებად.

ამ ბანაკებში მათ დაწესეს კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების წამების, აბუჩად აგდების, მხეცურად ცემისა და მასობრივი დახვრეტის სისხლიანი რეჟიმი.

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში ამერიკელმა აგრესორებმა წამოაყენეს სამხედრო ტყვეთა ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი“ რეპატრიაციის პირობა, რომელიც უხეშად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და ჰუმანურობის პრინციპებს.

ამერიკელი აგრესორები ამ პირობის წამოყენებით ცდილობენ ჩაშალონ მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ, განაგრძონ და გააფართოონ აგრესიული ომი შორეულ აღმოსავლეთში და გაამძლიერონ ახალი მსოფლიო ომის საფრთხე. ამ მიზნით მათ სურთ საზარბაზნე ხორცად აქციონ მრავალი ათეული ათასი სამხედრო ტყვე, უაღრესად სასტიკი ძალადობით აიძულონ ისინი შეივიდნენ ჩან კაი-შის და ლი სინ მანის — ჩინელი და კორეელი ხალხების უბოროტესი მტრების ბანდებში.

ამერიკელ ინტერვენტებს დანაშაულზე წაასწრეს და მთელი მსოფლიოს წინაშე ამხილეს უდავო საბუთებითა და დოკუმენტებით, რომლებიც ადასტურებენ მათს ბოროტმოქმედებას. მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტები აშკარად ამზადებენ სამხედრო ტყვეებთან ახალ გასწორებას კუნძულ კოჯედოზე.

მსოფლიოს ხალხების სინდისი და პატიოსნება ვერ შეეწინააღმდეგება ამერიკელ ინტერვენტთა საზარელ დანაშაულობას.

ყველა ქვეყნის პატიოსანი ადამიანები, მთელი მოწინავე პროგრესული კაცობრიობა გმობენ ამერიკელ ინტერვენტთა ახალ ბოროტმოქმედებას და მოითხოვენ კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ ამერიკის სამხედრო ხროვის მხეცობის შეწყვეტას.

მოსკოვის მშრომელნი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, გამოთქვამენ თავიანთ მრისხანე აღშფოთებას და მტკიცე პროტესტს კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების დანაშაულებრივი, არაადამიანური მოქმედების წინააღმდეგ.

მთელი მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან ერთად მოვითხოვთ ბოლო მოეღოს ამერიკელ დამპყრობთა მხეცობას კორეაში. ჩვენ მოვითხოვთ ადამიანურ, ჰუმანურ მოპყრობას კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეებისადმი, სამხედრო ტყვეთა შესახებ ჰაგისა და ჟენევის კონვენციების განუხრელ შესრულებას.

მოსკოვის მშრომელნი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ძმური სოლიდარობის მხურვალე გრძნობას უცხადებენ გმირ კორეელ ხალხს და ჩინელ სახალხო მოხალისეებს, რომლებიც გმირულ ბრძოლას ეწევიან ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

მშრომელთა წმიდა მოვალეობაა კიდევ უფრო გააძლიერონ სიფხიზლე, დაუცხრომლად ამხილონ ახალი მსოფლიო ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკები, გააძლიერონ ბრძოლა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

მოსკოვის მშრომელნი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მომავალშიც მტკიცედ იბრძოლებენ მშვიდობისათვის, თავდადებული, პატრიოტული შრომით განამტკიცებენ თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას.

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს საყვარელ სტალინს!

კორეის ომბები

კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის — მოსკოვისადმი მიმართვა

ფხენიანი, 29 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთებმა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ყველა ფრონტზე თავდაცვითს ბრძოლებს ეწევიან ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ხარალს აყენებდნენ მათ ცოცხალ, ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და მტრის თვითმფრინავთა გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ვონსანის, ხამჰინის, ნამფოსა და კიიანის რაიონების მშვიდობიანი დასახლებული პუნქტებისათვის ბომბისა და ტყვიების ფრქვევის დაშენაში.

ალშფოთება ქაკ დიუკლოს თვითნებური დაპატიმრების გამო

ტოლიატის დეპეშა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი

რომი, 30 მაისი. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ტოლიატიმ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „იტალიის კომუნისტები და მშრომელები აღტაცებული არიან ფრანგი ხალხის ძლიერი მტკიცე პროტესტით იმათ წინააღმდეგ, ვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა დანაშაულებრივ ბაქტერიოლოგიური ომისათვის კორეელი მოსახლეობის წინააღმდეგ და იმპერიალისტური აგრესიისათვის აზიასა და ევროპაში. ჩვენი ქვეყნის დემოკრატები და მშვიდობის მომხრენი აღშფოთებული არიან ამხანაგ დიუკლოს უკანონო დაპატიმრებით, უცხოელთა სამსახურში მყოფი რეაქციის ამ ახალი პროვოკაციით, და საფრანგეთის დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის შესანიშნავ მებრძოლს თავიანთ ძმურ სოლიდარობას უცხადებენ“.

ქაკ დიუკლო საპყრობილეშია

პარიზი, 29 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, გამომძიებელმა ჟაკინომ საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ჟაკ დიუკლოს ბრალად დასდო ის, რომ თითქოს მან ხელყო „სახელმწიფოს შინაგანი უშიშროება“. ჟაკ დიუკლო მოთავსებულია „ფრენნის“ საპყრობილეში.

ღღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება.

„პრავდის“ 30-V მოწინავე — ბოლო მოეღოს ამერიკელ დამპყრობთა მხეცობას კორეაში!

ზუსტად დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური კანონი—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1952 წლის 26 მაისს.

მეორე გვერდი — ზუსტად დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური კანონი — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1952 წლის 26 მაისს. (დასასრული).

მესამე გვერდი — მრისხანე პროტესტი კორეაში ამერიკელ აგრესორთა სისხლიანი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ — მოსკოველ მშრომელთა საერთოსაქალაქო მიტინგი.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. მ. ე. თოფურია მოხსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილეობიდან.

• • •

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ს. ა. ზალდასტანიშვილი დანიშნა საქართველოს სსრ კვებრის მინისტრის მოადგილედ. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

დედა მარიამ, მეუღლე მარიამ, შვილები ელგუჯა, ციალა, ძმები ლადო, ანდრო, ნიკოლოზ, და ვერა ოჯახებით იუწყებიან, რომ 1-VI, 2 ს. ვაკის სასაფლაზე პანთეონში დანიშნულია საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **მიხეილ კავსაძის** პანაშვიდი.

მეუღლე ქსენია, შვილი ვალია, ძმა დიმიტრი, რძალი ქეთევან ფირცხალაიშვილი, ძმისწულები ჰამლეტ, ნინო თავბერიძეები, სიძე გ. ჯიბლაძე, ტონია, მიშა, ალექსანდრე ფირცხალაიშვილები იუწყებიან **სერაფიონ ნიზარბეგის-ძე თავბერიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე სოფიო კურდღელაშვილი, და მარიამ, დისწულები ელისო, რუსტომ აბრამიშვილები, ძმა ვახტანგ, ძმისწულები დავით ჯორჯაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ 1-VI, 3 ს. ვაკის სასაფლაზე დანიშნულია **სოლომონ დავითის-ძე ჯორჯაძის** პანაშვიდი.

მეუღლე ლიდა, შვილები ნოე, ვარლამ, ნათელა, რძლები ცუცა, ტერეზა, შვილიშვილები ნანული, ნინელი, ბიჭიკო, ეანა, ლიანა ებანოიძეები იუწყებიან **გიორგი ექვთიმეს-ძე ებანოიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VI საღამურ მარელისში.

რძალი ეკატერინე, შვილიშვილები ბიჭიკო, ლევან ნაცვლიშვილები იუწყებიან **ელისაბედ ზაალის ასულ ნაცვლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-V, 8 ს. გიმოსკენება 1-VI, 3 ს. შრომის ქ. № 18 (ვაკე).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სახელმწ.-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ეკონომიკისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატ